განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## შპს **„მონტესორი უნივერსი“**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი:**ეკა ლუაშვილი**

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: **ქეთევან ღვანიძე**

კვების დარგში ექსპერტი: **სოფიო გოხელაშვილი**

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: **თამარ ჭონიშვილი**

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1.ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საფირმო სახელწოდება | შპს მონტესორი უნივერსი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 404695040 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში) | |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში) | Montessori Universe LTD |
| სექტორი | კერძო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| 2.საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღ ზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
| იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | თბილისი, მთაწმინდისრაიონი, პეტრიაშვილისქუჩა, N19, ბინა N1 |

| | |
|---|---|
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | თბილისი, ლისის ტბის ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ ნაკვეთი N14/037, საკადასტრო კოდი: 01,14,16,014,068 |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში) | https://beta.montessori-universe.com/ |
| **3.ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4.ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | • სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის No 492755 ბრძანება „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებელში შპს მონტესორი უნივერსი ვიზიტის შესახებ“<br>• სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 20 მაისის No 546381 ბრძანება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 06 მაისის No 492755 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2025 წლის 5 და 6 აგვისტო |

**5.ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)

| წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა | ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა |
|---|---|
| | |

| | |
|---|---|
| - | - |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური) | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო | ქართული | - | 150 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და | მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების | ინგლისური | - | 30 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

## 7.ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

2025 წლის 5 და 6 აგვისტოს შპს „მონტესორი უნივერსში“ განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი, რომლის ფარგლებში საბავშვო ბაღი შეფასდა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტთან თავსებადობის მიზნით, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის დაცვით.

საბავშვო ბაღი ახალია და დაგეგმილი აქვს საქმიანობის დაწყება ავტორიზაციის მინიჭების შემდეგ, Montessori Kids Universe (MKU) -თან ( ამერიკული ქსელი, რომელიც ეფუძნება ავთენტურ Montessori მეთოდს და Reggio Emilia-ს მიდგომას) დადებული ფრენშაიზის ხელშეკრულების საფუძველზე.

დაწესებულებაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ განხორციელებულია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული ინვესტიცია: აშენებულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, ბავშვზე ორიენტირებული შენობა და მოწყობილია უსაფრთხო, ფუნქციური ეზო.

დამფუძნებელმა და მენეჯმენტის გუნდმა წარმოაჩინეს მაღალი მოტივაცია, გახსნილობა და მზადყოფნა ავტორიზაციის სტანდარტების სრული დანერგვისა.

ექსპერტების მიერ ვიზიტის დასასრულს დაწესებულებას მიეწოდა ინფორმაცია შეფასების შედეგად იდენტიფიცირებული ძირითადი მიგენებების შესახებ და შემდგომი პროცედურების თაობაზე.

დაწესებულების ძლიერ მხარედ შესაძლოა დასახელდეს: თანამედროვე, სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა; ფრენშაიზით მიღებული საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მისი მხარდამჭერი რესურსებიდა მოტივირებული გუნდი.
ხოლო გასაუმჯობესებელ მხარედ - ავტორიზაციის ეროვნული სტანდარტების სრულფასოვანი იმპლემენტაციისათვის შიდა რეგულაციების სრულყოფის საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფი მადლობას უხდის დაწესებულების ხელმძღვანელობასა და პერსონალს საქმიანი და კონსტრუქციული კომუნიკაციისთვის, თანამშრომლობის მზაობისა და გახსნილი დიალოგის დემონსტრირებისთვის ვიზიტის ფარგლებში.

## 8.საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................
.............................................................................................

## 9.წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10.ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 1.1.დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2.სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br><br>სკოლამდელი აღზრისა და განათლების პროგრამა (ქართულენოვანი)<br><br>მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო | | |
| 2.კურიკულუმი | ☒ შეესაბამება | ☐ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1.კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[3]

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა (ინგლისურენოვანი)

მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო

| | | |
|---|---|---|
| 2.კურიკულუმი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.1.კურიკულუმის დაგეგმვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება |
| | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

[3] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 3.ოჯახისა და თემის ჩართულობა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.1.თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.2.პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3.მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1.დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სავალდებულო დნართი #1 -ით წარმოდგენილია შპს მონტესორი უნივერსის მისია:

„მონტესორი უნივერსის" მისიაა შექმნას განათლების სივრცე, რომელიც ეფუძნება მონტესორის მეთოდოლოგიას, უზრუნველყოფს ბავშვის დამოუკიდებლობას, შემოქმედებით განვითარებასა და ცხოვრებისეული უნარების გამომუშავებას, თანასწორობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

მონტესორის სკოლამდელი დაწესებულების მთავარი მისიაა ბავშვის განვითარების ხელშეწყობა მათი ბუნებრივი ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გათვალისწინებით"

წარმოდგენილი მისია შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს და ასახავს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გარემოს. მისიაში მკაფიოდ არის ხაზგასმული ბავშვის დამოუკიდებლობის, შემოქმედებითი და ცხოვრებისეული უნარების განვითარების ხელშეწყობა მონტესორის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს თითოეული ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემას.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანასწორობის, პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ღირებულებების განმტკიცებას, რაც დამატებით უზრუნველყოფს კეთილდღეობასა და ჰარმონიულ გარემოს, რომელშიც ბავშვი მაქსიმალურად შეძლებს პიროვნულ და სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სავალდებულო დნართი #1 -ით წარმოდგენილია შპს მონტესორი უნივერსის ხედვა და ღირებულებები:

**„ხედვა**

„მონტესორი უნივერსი" მიზნად ისახავს გახდეს ერთ-ერთი ლიდერი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება საქართველოში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების ინდივიდუალური და შემოქმედებითი განვითარების შესაძლებლობებს, რითაც მომავალი თაობებისთვის მყარი ფუნდამენტი შენდება. 5-15 წლის პერსპექტივაში, მონტესორი უნივერსი იქნება აღიარებული როგორც ადგილი, სადაც სწავლა და განვითარება გრძელდება მუდმივი ინოვაციებისა და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენებით, და სადაც თითოეული ბავშვი შეძლებს სრულად საკუთარი პოტენციალის რეალიზებას, იყოს დამოუკიდებელი, შემოქმედებითი და პასუხისმგებლიანი, რაც ხელს უწყობს პიროვნების თვითშეფასებისა და თავდაჯერებულობის ზრდას.

**მოსალოდნელი განვითარების მიზნები:**

1. ჩვენი ბავშვები იღებენ მხარდაჭერას და სწავლის ხელშეწყობას იმგვარად, რომ განივითარონ ცხოვრებისეული უნარები, რომლებიც მათ, წარმატებისთვის და ლაღი ცხოვრებისთვის სჭირდებათ;
2. ბავშვის განვითარება ხდება ემოციურად, სოციალურად და ფიზიკურად უსაფრთხო და მასტიმულირებელ, შემოქმედებით გარემოში;
3. „მონტესორი უნივერსი" იქნება აღიარებული, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო დაწესებულება, რომელიც აერთიანებს თანამედროვე საგანამათლებლო მეთოდს და პატივისცემას ბავშვის ინდივიდუალიზმის მიმართ.
4. დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაიგეგმება ღონისძიებები (მშობლების და პედაგოგების აქტიური თანამშრომლობა), რომელიც გააძლიერებს უმაღლესი განათლების დაწესებულებებთან თანამშრომლობას;
5. დაწესებულების რესურსები მაქსიმალურად განავითარებს და გააუმჯობესებს, როგორც სასწავლო გარემოს, ისე შემოქმედებითი სივრცეებისთვის საჭირო რესურსებსა და ტექნოლოგიებს.

**ღირებულებები**

1. **ბავშვის უფლებების დაცვა** - ჩვენ ვაღიარებთ და სრულად ვითვალისწინებთ ბავშვის უფლებებს, როგორიცაა: თავისუფლება, ინდივიდუალიზმი და თვითგამორკვევა. ჩვენი ყველა გადაწყვეტილება და მოქმედება მიმართულია ბავშვების ღირსებისა და უფლებების დაცვისკენ.
2. **დადებითი და ინკლუზიური გარემო** - ჩვენ ვქმნით დადებით გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების თვითაღქმას, თვითდამკვიდრებასა და ღია ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ჩვენთან, ყველა ბავშვს უპირობოდ პატივს სცემენ, მათი უნიკალურობა აღიარებული და მხარდაჭერილია.
3. **თანასწორობა და სამართლიანობა** - ჩვენ ვმოქმედებთ სამართლიანობის პრინციპებით, სადაც ყველა ბავშვი ექვემდებარება თანასწორუფლებიან მოპყრობას, მიუხედავად მათი სქესისა, ეთნიკური წარმომავლობის ან სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების. ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ ყველა ბავშვს ჰქონდეს თანასწორი შესაძლებლობები.
4. **გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა** - ჩვენ გვსურს, ხელი შევუწყოთ ერთობლივ მუშაობას პედაგოგებს, მშობლებსა და ბავშვებს შორის და მიზანია, რომ თითოეულმა მოკავშირემ აქტიურად მიიღოს მონაწილეობა  საერთო მიზნის მიღწევაში.
5. **პროფესიონალიზმი და ინოვაცია** - ჩვენ მტკიცედ ვმუშაობთ, რათა ვუზრუნველვყოთ მაღალპროფესიული სწავლება, რომელიც ეფუძნება თანამედროვე და ეფექტურ მეთოდებს. მუდმივად ვცდილობთ ახალი იდეების და ინოვაციების შერწყმას, რათა ჩვენი პრაქტიკა იყოს უკეთესი და უფრო ეფექტური.

6. **საზოგადოების მოლოდინებთან შესაბამისობა** - გვესმის, რომ ჩვენი საქმიანობა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მოლოდინებზე. ვმუშაობთ ორგანიზაციული იმიჯის გააქტიურებაზე, რათა შევქმნათ სწორი დამოკიდებულება და საზოგადოების ნდობა ჩვენი პრინციპების, ღირებულებებისა და საქმიანობის მიმართ.“

წარმოდგენილი დაწესებულების ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად სრულად გამომდინარეობს „მონტესორი უნივერსის“ მისიიდან. ისინი ეფექტიანად ავითარებენ მისიის ძირითად აქცენტებს, რომელთაც წარმოადგენს ინდივიდუალური და შემოქმედებითი განვითარება, დამოუკიდებლობა, თანასწორობა და პატივისცემა, და ამავდროულად ავსებენ მათ ინსტიტუციური ზრდის, პროფესიონალიზმის, ინოვაციისა და საზოგადოების მოლოდინებთან შესაბამისობის კომპონენტებით.

აღნიშნული მიდგომა ქმნის ლოგიკურ და თანმიმდევრულ კონცეფციას, რომელიც უშუალოდ პასუხობს მისიის ძირითად პრინციპებს და უზრუნველყოფს მათი განხორციელების პრაქტიკულ შესაძლებლობას. ხედვა და ღირებულებები დაწესებულების იდენტობის ასახვასთან ერთად წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს დაწესებულების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრისა და განხორციელებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................................

### 3.მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

## ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია და ვიზიტისას მოპოვებული მონაცემები ადასტურებს, რომ დაწესებულებას გააჩნია მკაფიო ხედვა დაინტერესებული მხარეების – მშობლების, პედაგოგებისა და სხვა პარტნიორების – ჩართვის შესახებ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. თუმცა, დოკუმენტურად არ დასტურდება, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები უკვე ჩამოყალიბდა უშუალოდ დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები დაფუძნებულია Montessori Kids Universe (MKU) ფრენშაიზის ხელშეკრულებით განსაზღვრულ მიზნებსა და ღირებულებებზე, ხოლო პროცესში დამატებითი კონსულტაციები ან სამუშაო შეხვედრები დაინტერესებულ პირებთან არ ჩატარებულა. ამასთან, მოქმედი ტექსტი სრულად არ იმეორებს ფრენშაიზის დოკუმენტს, თუმცა კონტექსტუალურად მას ეთანხმება, რაც დაწესებულებას უტოვებს შესაძლებლობას, მომავალში განახორციელოს მისი დახვეწა და ადაპტაცია ფართო ჩართულობით.

ინდიკატორის მოთხოვნები  არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და/ან გადახედვის პროცესში უზრუნველყოს ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის – მშობლების, პედაგოგების, ადმინისტრაციის და პარტნიორების – სტრუქტურირებული ჩართულობა და  ამ პროცესის დოკუმენტური დაფიქსირება, რათა დადასტურდეს მისი ინკლუზიურობა და მონაწილეობის ხარისხი.

## რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს  „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში(19.09.2025 – 19.09.2026).

განასაზღვლული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

4.მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალებისა და ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დასტურდება, რომ საბავშვო ბაღის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია საჯარო ფორმატში ბაღის ვებგვერდზე და აქტიურად ვრცელდება სოციალური მედიის პლატფორმების საშუალებით (Facebook, LinkedIn, Instagram).

დამატებით, მასალის გავრცელება ხორციელდება საინფორმაციო პლაკატების, ინდივიდუალური კომუნიკაციისა და ორგანიზებული შეხვედრების მეშვეობით, სადაც ღირებულებები და ხედვა განიხილება უშუალოდ მშობლებთან, პედაგოგებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს მაქსიმალურ ინფორმირებასა და ჩართულობას, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და საჯაროობას.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი მექანიზმები ადეკვატურად უზრუნველყოფს ბაღის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გავრცელებასა და ხელმისაწვდომობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სავალდებულოდანართი N1 - მისიის, ხედვისადაღირებულებებისამსახველიდოკუმენტი
2. მონტესორიუნივერსი • Montessori Universe - Facebook
3. მონტესორიუნივერსი • Montessori Universe - LinkedIn
4. მონტესორიუნივერსი • Montessori Universe - Instagram

5. Montessori Kids Universe (MKU) -თან დადებული ფრენშაიზის ხელშეკრულება.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.1.დაწესებულების მისია | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1.დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ ბაღს გააჩნია სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, „სავალდებული დანართი #2 - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია." რომელიც დამტკიცებულია შპს „მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 12 მარტის ბრძანებით. რომელიც მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს გეგმის მიზნებს, ამოცანებს, პასუხისმგებელ პირებსა და შესრულების ვადებს, ასევე უზრუნველყოფს პროგრესის პერიოდულ შეფასებასა:

- სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება უპირატესად კვარტალურ ან ნახევარწლიან ჭრილში;
- სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასება – 2.5 ან 3 წელზე, საბოლოო – ციკლის ბოლოს - მე-5 წლის ბოლოს;

საჭიროების შემთხვევაში კორექტირების განხორციელებას.

დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, კერძოდ მშობლებთან, პედაგოგებთან, მენეჯმენტთან და სხვა პარტნიორებთან კონსულტაციების გზით. აღნიშნული ჩართულობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და ოპერატიული მიზნების თანხვედრას ბაღის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, ასევე ზრდის დაგეგმვის პროცესის გამჭვირვალობასა და ეფექტიანობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტების და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დადასტურდა, რომ ბაღის სტრატეგიული გეგმა, რომელიც დამტკიცებულია შპს „მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 14 მარტის #2 ბრძანებით, არის ხუთწლიანი და ციკლური ხასიათის, რაც უზრუნველყოფს მისი პერიოდულ გადახედვასა და განახლებას საჭიროების შემთხვევაში.
დოკუმენტი პირდაპირ არის დაკავშირებული დაწესებულების მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან, რაც აშკარად აისახება როგორც სტრატეგიულ მიზნებში, ასევე ამ მიზნების შესაბამის ამოცანებში. მიზნები რეალისტურია, მაგალითად: გეგმის მიხედვით პირვეი სტარტეგიული მიზნაი არის: **„ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაშვება", ხოლო მის მისაღწევად განსაზღვრული აქვს დაწესებულება ს შესაბამისი ამოცენები:**
**ამოცანა 1.1**: პერსონალის გადამზადება მონტესორის მიდგომაში
**ამოცანა 1.2**: სასწავლო მასალების ეტაპობრივი შეძენა და ინტეგრირება
**ამოცანა 1.3**: შიდა მონიტორინგისა და ხარისხის შეფასების სისტემის შექმნა.
**ამოცანა 1.4**: სასწავლო გეგმაში Montessori-ს სტანდარტების ინტეგრირება.
ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა რომ ზემოთ დასახლებული ამოცანების შესრულება დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს.

მიზანშეწონილია დოკუმენტში განხორციელდეს გარკვეული ტექნიკური დაზუსტებები, მათ შორის — ტექსტის ქართულ ენაზე გამართულობის უზრუნველყოფა (მაგალითად, სტრატეგიული მიზნის ფორმულირება „1: ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურების გაშვება" საჭიროებს სტილისტურ გაუმჯობესებას).

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................................................

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ ბაღს შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულიაშპს „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის2025 წლის 14 მარტის #2 ბრძანებით და შესაბამისობაშია სტრატეგიულ გეგმასთან და უზრუნველყოფს განსაზღვრული მიზნების ეტაპობრივ შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება ახალია და ჯერ არ განუხორციელებია ყოველწლიური თვითშეფასების პროცესი, სამოქმედო გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დოკუმენტის პრიორიტეტებზე დაყრდნობით. შპს „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის2025 წლის 14 მარტის #2 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტში სტრატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთ საფუძვლად განსაზღვრულია თვითშეფასება. ამასთან, თვითშეფასების პროცესისა და მისი წარმოების ვადების შესახებ დამატებითი ინფორმაცია დასახლებულ დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს. მაგ: **ამოცანა 1.1**: პერსონალის გადამზადება მონტესორის მიდგომაში. აქტივობად განსაზღვრულია: **პერსონალისათვის გადამზადების ინტენსიური კურსების ორგანიზება,** შესრულების ვადად 2025 წლის გაზაფხული–ზაფხული, პასუხისმგებელ პირად დაწესებულების ხელმძღვანელი, ხოლო რესურსების ნაწილში მითითებულია ტრენინგების ბიუჯეტი. დაწესებულებაში ვიზიტისას დადასტურდა რომ მიმდინარეობდა პერსონალის გადამზადების პროცესი. ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური გეგმით (საპროგონოზო ბიუჯეტი) გამოყოფილია ტრენინგებისათვის ფინანსური რესურსები.

წარმოდგენილ გეგემაში აქტივობების შესრულებისთვის განისაზღვრა ინდიკატორები, ვადები და პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. თუმცა, ექსპერტთა შეფასებით, გეგმაში ზოგიერთი პასუხისმგებელი პირის პოზიცია არ შეესაბამება შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 20 მარტის #8 ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო დანართი N8 - დაწესებულების სტრუქტურა-ორგანოგრამაში განსაზღვრულ პოზიციებს (მაგ: კომუნიკაციების ოფიცერი, მშობელთა კოორდინატორი, რეკრუტირებისა და გამზადების კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი, მეთოდოლოგიური ხელმძღვანელი). დასახელებული პოზიციები არ არის წარმოდგენილი ორგანოგრამით განსაზღვრული.

გარდა ამისა, ყველა აქტივობასთან არ არის სრულად იდენტიფიცირებული საჭირო რესურსები, ხოლო არსებულ შემთხვევებში რესურსების აღწერა მოითხოვს უფრო კონკრეტულ და დეტალურ გაწერას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი რეალური მიღწევა და ეფექტური მობილიზაცია.

მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის სფეროების მკაფიო განსაზღვრა და რესურსების სრულყოფილი ანალიზი, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს გეგმის განხორციელების ეფექტურობას და უზრუნველყოფს უკეთ კონტროლს და ანგარიშვალდებულებას.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებისთვის შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების განსაზღვრა, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

## რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის" მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში(19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება".**

## 5.მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მეთოდოლოგიური დოკუმენტაციის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებას აქვს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების რეგულირებული პროცედურა, რაც განსაზღვრულია შესაბამისი რეგულაციით და მეთოდოლოგიით.

კერძოდ: ,,სავალდებული დანართი #2 - სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია.“ რომელიც დამტკიცებულია შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 12 მარტის ბრძანებით, მოიცავს როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული მეთოდოლოგია განსაზღვრავს გეგმის უ პროგრესის პერიოდულ შეფასებასა:

- სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხდება უპირატესად კვარტალურ ან ნახევარწლიან ჭრილში;
- სტრატეგიული გეგმის შუალედური შეფასება – 2.5 ან 3 წელზე, საბოლოო – ციკლის ბოლოს - მე-5 წლის ბოლოს;

დაწესებულებას ჯერ არ გაუნხორციელებია საქმიანობა არ ჰქონია პრაქტიკული შესაძლებლობა მონიტორინგისა და შეფასების პროცედურების იმპლემენეტაციისათვის, ხოლო თავის მხრივ არსებული მეთოდოლოგია ქმნის აუცილებელ საფუძველს მომავალი დაგეგმილი მონიტორინგისა და შეფასების ეფექტურ განხორციელებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

### რეკომენდაცია

### რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მიმდინარე ეტაპზე, იმის გათვალსიწინებით, რომ დაწესებულების სტარტეგიული განავითარების გეგმების შესრულების შედეგები ჯერ არ არის აღრიცხული. დაწესებულება მოკლებულია შესაძლებელობას მათი შედეგების საჯაროდ ხელმისწავდომობა და შემდგომი განავითარებისათვის გამოყენება დაადასტუროს.

„სავალდებულიდანართი #2 - სტრატეგიულიდაგეგმარებისმეთოდოლოგია.“რომელიც დამტკიცებულია შპს „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 12 მარტის ბრძანებით,დაწესებულებას დეკლარირებული აქვს რომ გეგემების მონიტორინგის შედგების გაზიარება გამომდნარეობს ბაღის საჯაროობისა და ანაგრიშვალდბულების პრინციპიდან და ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სსხვადასხვაარხით: ელ.ფოსტა, ფიზიკურიშეხვედრები, სოციალურიქსელები, ბაღისსაკონსულტაციოორგანოები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის2025 წლის 12 მარტის #1 ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულოდანართი N2 - სტრატეგიულიდაგეგმარებისმეთოდოლოგია
2. „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის2025 წლის 14 მარტის #2 ბრძანებითდამტკიცებულისავალდებულო დანართი N3 - სტრატეგიული განვითარების გეგმა და სამოქმედო გეგმა;
3. შპს „მონტესორიუნივერსის“ დირექტორის2025 წლის20მარტის #8 ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო დანართი N8 - დაწესებულების სტრუქტურა- ორგანოგრამა.
4. „მონტესორიუნივერსის“ ფინანსური გეგმა (საპროგნოზო ბიუჯეტი) 2025-2030 წწ

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.კურიკულუმი [4]

პროგრამის სახე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

[4]მეორესტანდარტის „კურიკულუმის“ ყველაველიივსებათითოეულიპროგრამისათვისცალ-ცალკე.

კურიკულუმის დასახელება

მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო (ქართულენოვანი სექტორისათვის)

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული კურიკულუმით Montessori Kids Universe-ს DaVinci Kids რომლის კონტექსტუალიზებული ჩარჩო დოკუმენტი დამტკიცებულია შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #12 ბრძანებით (ცვლილება 15.04.2025 წლის # 21ბრძანება).

შპს „მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #12 ბრძანების თანახმად, დაწესებულების გამართულად მუშაობისთვის, დაწესებულების ხელმძღვანელს დამტკიცებული აქვს კურიკულუმის ჩარჩო, რომელიც მოიაზრებს 3–დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის შემუშავებულ კურიკულუმს. ბრძანების თანახმად აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანება ასახავს კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცების ცვლილების დოკუმენტს, თუმცა არ აღწერს ცვლილების კონკრეტულ მიზეზს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ჩარჩო დოკუმენტიდან ვგებულობთ, რომ დოკუმენტი განსაზღვრავს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, რომ ჩარჩო შემუშავდა Montessori Kids Universe-ის (MKU) ექსკლუზიურ ფრენჩაიზინგ პროგრამაზე – Montessori Kids Universe DaVinci Kids – დაყრდნობით და ადაპტირებულია საქართველოს ადგილობრივი კონტექსტისა და ეროვნული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #13 ბრძანებით დამტკიცებულია შპს მონტესორი უნივერსის „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი", ამავე თარიღითაა დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩოც. კურიკულუმის ჩარჩო

დოკუმენტის დამტკიცების ბრძანება ნუმერაციით (24.03.2025#12) წინ უსწრებს დაწესებულების " კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტის" დამტკიცებას (24.03.2025 #13), მიუხედავად იმისა, რომ დირექტორის 2025 15 აპრილის #21 ბრძანებით განხორციელებულია კურიკულუმის დამტკიცების ცვლილება, აღნიშნული მაინც ეწინააღმდეგება ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვინაიდან დოკუმენტში განსაზღვრულია დაწესებულების მიერ უკვე შერჩეული კურიკულუმის მარეგულირებელი პრინციპები. დოკუმენტი მოიცავს კურიკულუმის იდენტიფიცირების, შინაარსის სრულყოფის, გაზიარებისა და განხილვის პროცესებს, მისი არჩევის არგუმენტაციას, დანერგვის ძირითად პრინციპებსა და კურიკულუმის შეფასებისა და განახლების პროცესებს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი აღწერს, როგორი გზით შეარჩია და შეიმუშავა კურიკულუმის ჩარჩო დაწესებულებამ და არ განსაზღვრავს სტანდართით გათვალისწინებულ პროცესებს. ჩანაწერები ძალიან ზოგადია და არ იძლევა სრულყოფილ ინფორმაციას მაგალითად როგორ დაგეგმავს დაწესებულება კურიკულუმის გაზიარების პროცესს ან/და კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცესს, რომლის განსაზღვრაშიც უნდა ჩანდეს რა ეტაპებს მოიცავს აღნიშნული.

დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სკოლამდელი დაწესებულების მიერ განსახორციელებელ ყველა იმ ნაბიჯს/პროცესს, რომლის გავლაც დასჭირდება დაწესებულებას მისთვის საჭირო კურიკულუმის შერჩევისთვის/შემუშავებისთვის, შემდგომ მისი გაზიარების, შეფასებასა და განვითარებისთვის. შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული (დამტკიცება 24.03.2025 #12; ცვლილება: 15.04.2025 #21) კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს დოკუმენტის შესავალ ნაწილს, ინფორმაციას ჩარჩოს შესახებ, აღწერს კურიკულუმის ჩარჩოს თეორიულ საფუძვლებს, პროგრამის დანერგვის ძირითად კომპონენტებსა და პრინციპებს, კურიკულუმის მიზნებს, შინაარსა და მეთოდოლოგიას ასევე კურიკულუმის შეფასების მიდგომებს, გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ორგანიზების საკითხებს, კურიკულუმის ჩარჩოს შედგენის წყაროებსა და დოკუმენტაციას და 2–6 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის გაწერილ სასწავლო გეგმას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

1. დოკუმენტის სახელწოდების დაზუსტება – სასურველია დოკუმენტს ეწოდოს: ,,კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი", რაც მკაფიოდ ასახავს მის შინაარსსა და რეგულირების სფეროს.

2. დოკუმენტში განისაზღვროს დაწესებულების მიერ კურიკულუმის შერჩევის/შემუშავების პროცესი და ეტაპები, რომელსაც მოიცავს აღნიშნული პროცესი. მაგალითად პირველი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, შეიქმნას და იდენტიფიცირებული იყოს კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მისი ფუნქციონირება განსაზღვრული იყოს დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ბრძანებით.
3. დაწესებულებამ განსაზღვროს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცესი და მისი ეტაპები: ა)განსაზღვრული იყოს რა არის კურიკულუმის შეფასების მიზანი.ბ) რა პერიოდულობით და ვინ ახორციელებს კურიკულუმის შეფასებას. გ) რას ეფუძნება კურიკულუმის შეფასება, რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

1. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ეფუძნება მონტესორის მეთოდს და ასევე ინტეგირებულია მასში რეჯიო-ემილიას მიდგომები, რაც ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. მონტესორის მეთოდი უზრუნველყოფს სენსორული განვითარების, შემეცნებითი უნარებისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, ხოლო თავისუფალი არჩევანის პრინციპი ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთოს სწავლისა და განვითარების პროცესში. რეჯიო-ემილიას მიდგომა აძლიერებს ბავშვების სოციალური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, ხელს უწყობს დამოუკიდებელ ექსპერიმენტირებასა და თამაშზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას, რაც თავის მხრივ აყალიბებს თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის უნარებს.

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო განსაზღვრავს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს პროგრამის თეორიულ საფუძვლებს, მიზნებს, შინაარსობრივ კომპონენტებს, დანერგვის პრინციპებს, მეთოდოლოგიას, ფიზიკურ გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსებს, შეფასების სისტემას და სხვა საკვანძო ელემენტებს. ჩარჩო ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარების კონცეფციას (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და სოციალური

უნარების განვითარება) და შეესაბამება როგორც მონტესორის განათლების პრინციპებს, ასევე საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს.

კურიკულუმის მიზნები მოიცავს:

- ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას, ინდივიდუალური ტემპისა და თავისებურებების გათვალისწინებით;
- დამოუკიდებლობისა და თვითდაჯერებულობის ჩამოყალიბებას, თვითმომსახურებისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას;
- კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას, მათ შორის ენის მდიდარი სტიმულირებით, კითხვისა და წერის დაწყებითი უნარების ჩამოყალიბებას;
- ელემენტარული მათემატიკური და მეცნიერული წარმოდგენების ფორმირებას, რაც საფუძველს უყრის ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას;
- შემოქმედებითი და კვლევითი უნარების წახალისებას STEAM და პროექტულ აქტივობებში ჩართვის გზით;
- სოციალური უნარებისა და ემოციური კომპეტენციების განვითარებას ჯგუფურ და კოლაბორაციულ გარემოში;
- გარემოსა და საზოგადოების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას, კულტურული ცნობიერების გაძლიერებას;
- სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფას, მათ შორის სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული კურიკულუმის შინაარსი უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო გამოცდილებას, მოიცავს მონტესორის ტრადიციულ სასწავლო სფეროებსა და პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო უნარების, სენსორული, ენობრივი, მათემატიკური, მეცნიერული და ფიზიკური უნარების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კურიკულუმის შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული, ადგილობრივ კონტექსტზე ადაპტირებული კურიკულუმით.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

3.კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმის და კურიკულუმის შესაბამისი ჩარჩო მოიცავს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას და შინაარსს, კურიკულუმის ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, ბავშვზე ორიენტირებული და განვითარების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომელიც ძირითადად თამაშზე იქნება დაფუძნებული.

მონტესორისეულ მიდგომაში ბავშვი განიხილება, როგორც აქტიური მაძიებელი/შემსწავლელი, ხოლო საგანმანათლებლო პერსონალი – როგორც დამკვირვებელი და ხელშემწყობი. ბავშვის თავისუფალ აქტივობას საგანმანათლებლო-სააღმზრდელო პროცესში წამყვანი როლი აქვს. საგანმანათლებლო პროცესი წარიმართება ბავშვის ინტერესების, საჭიროებების და შესაძლებლობების მიხედვით. გადაწყვეტილებები , როგორ და რა უნდა შეისწავლოს ბავშვმა მიღებულია იმაზე დაკვირვებით, თუ რას ავლენს თითოეული ბავშვი . პროგრამა მოქნილია ბავშვთა ინიციატივების მიმართ;

აღნიშნული კურიკულუმის ჩარჩოს მეთოდოლოგია განსაზღვრავს, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლის ხელშეწყობის პროცესი ჯგუფში. მეთოდოლოგიის მიხედვით პერსონალი თითოეულ ბავშვს (ან პატარა ჯგუფს) ინდივიდუალურად გააცნობს ახალ მასალას თუ აქტივობას – აჩვენებს, როგორ გამოიყენოს იგი. ამის შემდეგ ბავშვს ეძლევა დრო და სივრცე, რომ დამოუკიდებლად იმუშაოს აღნიშნულ მასალაზე. ბავშვი მუშაობს საკუთარი ტემპით, შეიძლება გაიმეოროს ვარჯიში იმდენჯერ, რამდენჯერაც სჭირდება სრულფასოვნად დასაუფლებლად. მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სწავლების ბავშვისთვის მორგებას და შინაგან მოტივაციაზე დაყრდნობას, ბავშვები სწავლობენ საკუთარი ინტერესის სტიმულით და არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანის მოლოდინის დასაკმაყოფილებლად.

საგანმანათლებლო პერსონალი მონტესორის ჯგუფში ითამაშებს დამკვირვებლისა და მეგზურის როლს. ჯგუფში მთელი სამუშაოს ციკლის განმავლობაში პერსონალი დინამიურად გადაადგილდება ბავშვებს შორის, დააკვირდება მათ საქმიანობას, ჩაინიშნავს მიღწევებსა და სირთულეებს. თუ ბავშვი კონცენტრირებულია და წარმატებით საქმიანობს, პერსონალი არ ჩაერევა და არ შეუშლის ხელს მის სამუშაოს. აუცილებლობის შემთხვევაში მაგალითად, თუ ბავშვი უცბად გასაჭირში ჩავარდება ან ვერ გაიგებს, რით დაკავდეს აღმზრდელი იმოქმედებს ფრთხილად, შესთავაზებს ბავშვს სხვა მასალას, დაუსვამს მიმართულების მიმცემ კითხვას, ან აჩვენებს მოქმედების წესს ხელახლა. საგანმანათლებლო პერსონალი ეცდება, ბავშვმა თავად იპოვოს პასუხი ან გამოსავალი, დახმარების მინიმალური მინიშნებებით.

მონტესორი უნივერსის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა“ დაწესებულება განსაზღვრავს „ თამაშზე დაფუძნებული განათლების პრინციპებს“. დოკუმენტის თანახმად დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ექნება საშუალება ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად — როგორც შენობაში, ისე გარე სივრცეში. საგანამათლებლო გარემო ისე იქნება ორგანიზებული, რომ ბავშვებს შეეძლებათ თავისუფლად აირჩიონ მათთვის საინტერესო აქტივობა, რაც საშუალებას მისცემთ დამოუკიდებლად გამოიკვლიონ გარემო და შექმნან საკუთარი ცოდნის სტრუქტურა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................

### 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობასა და მათ ჩართულობას, რეჯიო-ემილიას მიდგომა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ოჯახისა და თემის მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს ბავშვების განვითარებისთვის მდიდარი და მრავალფეროვანი გარემოს შექმნას. დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩოს მიხედვით, პროგრამის პრაქტიკაში წარმატებით დანერგვა, ემყარება რამოდენიმე ძირითად პრინციპს, რომელიც განსაზღვრავს ყოველდღიური პედაგოგიური მუშაობის სტილს, კურიკულუმის ერთ–ერთი ასეთი ძირითადი პრინციპია მშობლებთან თანამშრომლობა, რომელიც მოიაზრებს მშობლების აქტიური მონაწილეობას სააღმზრდელო პროცესში. დაწესებულება გეგმავს რეგულარულად განახორციელოს მშობლებთან კომუნიკაცია – მშობელთა შეხვედრები, კონსულტაციები. კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით მშობლები პარტნიორებად განიხილებიან, ისინი ინფორმირებულნი იქნებიან ბავშვის პროგრესის შესახებ და ითანამშრომლებენ პერსონალთან ინდივიდუალური მიზნების დასახვისა და სახლში მხარდამჭერი გარემოს შექმნაში. დაწესებულებაში დაინერგება მშობელთა კონსულტაციის სისტემა: თითოეული სემესტრის ბოლოს გაიმართება ინდივიდუალური შეხვედრა მშობელთან, სადაც განიხილება ბავშვის პორტფოლიო და პროფილი. მშობელთან ერთად პერსონალი გააანალიზებს ამ პორტფოლიოს, გამოარჩევს ბავშვის ძლიერ მხარეებს და იმ უნარებს, რომელთა განმტკიცებაც კიდევაა საჭირო. მშობელთა შეთანხმებით აისახება მომდევნო პერიოდის პრიორიტეტები სახლის გარემოშიც ( მაგალითად, თუ ბავშვი ბაღში დამოუკიდებლად ცდილობს კვებას, მშობელიც მხარს დაუჭერს ამას სახლის პირობებში).

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა სპეციალური „დამკვირვებლის ფორმა“ მშობლებისთვის, რომელსაც ითვალისწინებს მათ მიერ შერჩეული კურიკულუმი. აღნიშნული ფორმის პირველი გვერდი მოიცავს ინსტრუქციას მშობლისთვის, რომელიც დაკვირვების მიზნით ეწვევა ბაღს და შესაბამის ჩანაწერებს გააკეთებს ფორმაში. დაკვირვება მოიცავს შემდეგ ველებს, რომელიც ეხება: გარემოსა და ატმოსფეროს ჯგუფში, ბავშვის ჩართულობას, სოციალურ ურთიერთობებს, ბავშვების ემოციებსა და ქცევას. ფორმის შევსების შემდეგ მშობელი წერს საერთო შეფასებას და საშუალება აქვს გამოხატოს საკუთარი აზრი, დასვას კითხვა, მისცეს რჩევა, გააკეთოს კომენტარი ან/და გასცეს რეკომენდაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ჩარჩო დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის შინაარსი მოიცავს ყველა იმ საგანმანათლებლო მიმართულებას და საგანს, რასაც ბავშვები ეცნობიან "მონტესორი უნივერსის" სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაში. მონტესორის მეთოდი მოიცავს ასაკობრივად ადაპტირებულ მასალებსა და მრავალფეროვან აქტივობებს, რომლებიც ბავშვებს ეხმარებიან განივითარონ ყოველდღიური ცხოვრების უნარები, სენსორული, ენისა და მეტყველების უნარები, განივითარონ მათემატიკური წარმოდგენები, მეცნიერული უნარები და სხვა. დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის მეთოდოლოგიის თანახმად კურიკულუმი გაითვალისწინებს სწავლის მოქნილ, მაგრამ სტრუქტურულ რეჟიმს. დღის განმავლობაში, ინდივიდუალური საქმიანობის პარალელურად, განხორციელდება ჯგუფური მუსიკალური აქტივობები, ფიზიკური ვარჯიშები, ერთობლივი პროექტები. დაგეგმილია ყოველკვირეული თემატური გაკვეთილები DaVinci Kids პროექტის ფარგლებში – ამ დროს მთელი ჯგუფი გაერთიანდება საერთო თემის კვლევაში (მაგალითად, „კოსმოსი", „ჩვენი ქალაქი", „წლიური სეზონები") და ჩაატარებს ექსპერიმენტებს ან შექმნის ნამუშევრებს კოლაბორაციულად. დამოუკიდებელმა და ჯგუფურმა მუშაობამ – ხელი უნდა შეუწყოს როგორც ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებას, ისე სოციალური უნარების ჩამოყალიბებას. ბავშვები ერთი მხრივ განვითარდებიან თვითმართული მუშაობით და, მეორე მხრივ, ისწავლიან გუნდურ აქტივობებში მონაწილეობისას მოსმენას, ერთმანეთთან შეთანხმებას და საერთო მიზნისთვის შრომას.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი, მოიცავს პრაქტიკულ და შემეცნებით კომპონენტებს (STEM მიდგომები) უზრუნველყოფს სოციალური უნარების და შემოქმედებითი განვითარების კომპლექსურ განვითარებას (რეჯიო-ემილიას პროექტები), რაც ადასტურებს იმას, რომ კურიკულუმი უზრუნველყოფს მრავალფეროვანი საგანმანათლებლო აქტივობების მიწოდებას, რომლებიც შეესაბამება ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი — „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის გაზიარების პროცესებს როგორც პერსონალთან, ისე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს შერჩეული კურიკულუმის გაცნობას მშობლებისთვის ოქტომბრის თვეში, რაც არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კურიკულუმი მშობლებთან უნდა გაზირადეს სწავლების დაწყებამდე. აღნიშნული წინასწარი გაცნობა უზრუნველყოფს მშობლებისთვის დაწესებულების საგანმანათლებლო შეთავაზების დროულად ცოდნას, რაც აუცილებელია სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად საკუთარი შვილის განათლების შესახებ.

კურიკულუმის გაზიარების პროცედურები ასახულია აგრეთვე დაწესებულების „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში“. დოკუმენტში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კურიკულუმის დეტალები და გამოყენებული მიდგომები ხელმისაწვდომი იქნება პერსონალისთვის და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას აღზრდისა და განათლების პროცესში. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია რეჯიო-ემილიას პრინციპებთან, რომლის მიხედვითაც მშობლებისა და

მასწავლებლების აქტიური თანამშრომლობა და რეგულარული კომუნიკაცია განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, წარმოდგენილი ჩანაწერი არ მოიცავს დეტალურ აღწერას კურიკულუმის გაზიარების პროცედურისა, მისი მნიშვნელობის განმარტებასა და მიზნობრივ შედეგებზე დაკონკრეტებას.

დაწესებულების გენერალური მენეჯერის განმარტებით, თითოეულ პირს, ვისაც სურვილი აქვს ჩარიცხოს ბავშვი შპს „მონტესორი უნივერსში", გადაეცემა სპეციალურად დამზადებული სამახსოვრო/ბუკლეტი, რომელიც შეიცავს ზოგად ინფორმაციას კურიკულუმის ძირითად მიზნებზე, მეთოდზე და ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მოწოდებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმის გაზიარების პრაქტიკას, თუმცა მისი დაგეგმვის ვადები და პროცესის აღწერა საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა გაზარდოს პროცესის გამჭვირვალობა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

## რეკომენდაცია

## რჩევა

1. კურიკულუმის გაზიარებამდე მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტული ინფორმაციის მოცულობა, ფორმატი და მიწოდების არხები, ხოლო შემდეგ დაიგეგმოს მიზნობრივი აქტივობები შერჩეული საკითხების ეფექტურად გაცნობისთვის.
2. მიზნშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის სასწავლო წლის დაწყებამდე, შესაბამისი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვითა და ორგანიზებით.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #12 ბრძანება.
2. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმის ჩარჩო;
3. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი“
4. შპს მონტესორ უნივერსის დირექტორის 2025 წლის 15 მარტის # 3 ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.1.კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის“ თანახმად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის შეიმუშავებსგრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. კურიკულუმის ჩარჩოს ამოქმედება მოხდება გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებით. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში საგანმანათლებლო პერსონალი შეიმუშავებს წლიურ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება კურიკულუმის მიზნებსა და შინაარსზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, წლიური გეგმა განსაზღვრავს, როგორი თანმიმდევრობით

და რა ხანგრძლივობითგანაწილდებაპროგრამის სხვადასხვა თემატიკა და აქტივობა. წლიურ გეგმაში ასევე გათვალისწინებული იქნება დღესასწაულები და კულტურული ღონისძიებები, ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან.

დაწესებულება გეგმავს ასევე შეიმუშაოსმოკლევადიანი, კვირის და დღის გეგმები. დოკუმენტის თანახმად, კვირის გეგმა განსაზღვრავს ყოველკვირეული აქტივობების განრიგს: რომელი ახალი მასალები იქნება წარმოდგენილი, რა ჯგუფური თემატური გაკვეთილები ჩატარდება, ასევე დეტალურადიქნება გაწერილი, თუ რომელი ბავშვი რაზე იმუშავებს ინდივიდუალურად – ამისთვის პერსონალი დაეყრდნობა წინა კვირის დაკვირვების ჩანაწერებს და დაგეგმავს ყოველი ბავშვის წინსვლისთვის შესაფერის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი" , დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პერსონალი მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც გულისხმობს გეგმების, ჩანაწერების, პორტფოლიოების და შეფასების ფორმების არსებობას, ადვილად ააგებს გეგმებს, რომლებსაც შემდგომში გამოიყენებს სწავლების პირობითი კორექტივებისა და ინდივიდუალური მიდგომების დასაგეგმად, რითაც მაქსიმალურად შესაბამის გარემოს შექმნის ჯგუფის სრული პოტენციალის გასახსნელად. თუმცა დოკუმენტში

არ არის აღწერილი გეგმის შემუშავების პროცესი. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუქნციონირებს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს, შემუშავებული წესი კი ძალიან ზოგადია და არ იძლევა მკაფიო სურათს იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნება დაწესებულებაში გეგმები, რა პერიოდულობითა და ხანგრძლივობით, როდის და ვის მიერ მოხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იქნება თუ არა ჩართული პროცესში, იქნება თუ არა პროცესი თანამონაწილეობითი.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებული დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი“ დეტალურად გაიწეროს თუ როგორ შეიქმნება დაწესებულებაში გეგმები, რა პერიოდულობითა და ხანგრძლივობით, როდის და ვის მიერ მოხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვლული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებისდირექტორის 2025 წლის 24 მარტის #14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმის “ დოკუმენტში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: „საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს ჯგუფის უნიკალური საჭიროებებისა და ინტერესების ამსახველ წერილობით თუ ვიზუალურ მასალას. ეს შეიძლება იყოს გეგმები, დაკვირვების ჩანაწერები, ბავშვების ნამუშევრების პორტფოლიოები, შეფასების ფორმები ან მშობლებთან კომუნიკაციის ჩანაწერები, რომლებიც ყველა ერთად ასახავს, როგორ ვითარდება თითოეული ბავშვი, რა სპეციფიკურ თემებს აღმოაჩენს ჯგუფი, რა გამოწვევებია აქტუალური ან რაზე გამოხატავს ყველაზე დიდ ინტერესს“. აღნიშნული ჩანაწერი ზოგადია. დაწესებულებას კონკრეტულად უნდა ჰქონდეს გაწერილი და აღწერილი თითოეული დოკუმენტი, რომელიც საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში ნათლად ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს. დოკუმენტი უნდა აღწერდეს თუ როგორ ითვალისწინებს დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი, გეგმებში, მიზნებში, რეფლექსურ ჩანაწერებში ჯგუფის ინტერესებს, ინდივიდუალურ თავისებურებებს და საჭიროებებს.
ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდირებულია, დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს და გაანალიზდეს ის დოკუმენტაცია, რომლის წარმოებასაც აპირებს დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესში. იქნება ეს გეგმა/გეგმები, პორტფოლიო, რეფლექსური თუ ინდივიდუალური ჩანაწერები. განისაზღვროს თუ რა მნიშვნელობა ექნება თითოეულ დოკუმენტს საგანმანათლებლო პროცესში, რა ხანგრძლივობითა და პერიოდულობით იწარმოება თითოეული მათგანი, როგორი იქნება მათი ფორმა, ვისი პასუხისმგებლობა იქნება მისი წარმოება, როგორ მოხდება მათი შემდგომი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და ვის მიერ იქნება დამტკიცებული.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026).

განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში, კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაწილში ვხვდებით ჩანაწერს, საიდანაც ვგებულობთ, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი წინასწარ შეადგენს თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას მისი განვითარების ეტაპისა და ინტერესების გათვალისწინებით. პერსონალი თითოეულ ბავშვს (ან პატარა ჯგუფს) ინდივიდუალურად გააცნობს ახალ მასალას თუ აქტივობას და აჩვენებს, როგორ გამოიყენოს იგი. ამის შემდეგ ბავშვს ეძლევა დრო და სივრცე, რომ დამოუკიდებლად იმუშაოს აღნიშნულ მასალაზე. ბავშვი იმუშავებს საკუთარი ტემპით, შეიძლება გაიმეოროს ვარჯიში იმდენჯერ, რამდენჯერაც დასჭირდება მის სრულფასოვნად დასაუფლებლად.

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი განსაზღვრავს ასევე ინდივიდუალური გეგმის წარმოებას საგანმანათლებლო პროცესში, დოკუმენტის თანახმად პროგრამა ითვალისწინებს თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალური გეგმის წარმოებას, ვინაიდან ყოველ ბავშვს, დაკვირვებებისა და შეფასების საფუძველზე, უყალიბდება განვითარების ინდივიდუალური მიზნები. მაგალითად, შეიძლება დაისახოს, რომ გარკვეულ ბავშვმა ახლო კვირებში დაიმსახუროს „ლურჯი გეომეტრიული წრეების“ მასალა, რადგან ის უკვე წარმატებით ახარისხებს ფორმებს და მზადაა შემდგომი გამოწვევისთვის, ან თუ რომელიმე ბავშვს გაუჭირდება თანატოლებთან ურთიერთობა, ინდივიდუალურ გეგმაში ჩაიწერება, რომ პერსონალმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მას კომუნიკაციური თამაშებისას, წაახალისოს მისი მონაწილეობა. ეს ინდივიდუალური გეგმები ჩართული იქნება საერთო გეგმებში – პერსონალი ყოველდღიურ საქმიანობას ისე წარმართავს, რომ გაითვალისწინებსბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა მკაფიოდ ორიენტირებულია ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე და მის აქტიურ ჩართულობაზე სწავლისა და განვითარების პროცესში. აღნიშნული პრინციპი უაღრესად გამოიხატება მონტესორის მეთოდის თავისუფალი არჩევანის იდეაში, STEM-ის კვლევით პრაქტიკებსა და რეჯიო-ემილიას თანამშრომლობით სწავლაში, სადაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად ჩაატარონ ექსპერიმენტები და მონაწილეობა მიიღონ თამაშზე დაფუძნებულ პროექტებში. ეს მიდგომა ხელს უწყობს მათ თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო პროცესში თამაშს ერგება წამყვანი სტრატეგიული როლი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ტრანზიციების ორგანიზებისას.

დაწესებულების დირექტორის მიერ 2025 წლის 24 მარტის # 14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი, მათ შორის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი" დეტალურად განსაზღვრავს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს ადაპტაციის პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვას, რომელიც მოიცავს ბავშვის ემოციურ კომფორტს, უსაფრთხოებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. ტრანზიციის ხელშესაწყობად დაწესებულება გეგმავს მრავალმხრივ აქტივობებს, მათ შორის მშობლებთან წინასწარ კომუნიკაციასა და კონსულტაციებს, სივრცის ეტაპობრივ გაცნობას, მხარდამჭერი რუტინების ჩამოყალიბებას, დღის პროგნოზირებადი განრიგის უზრუნველყოფას და პერსონალის რეგულარულ მხარდაჭერასა და ტრენინგებს.

აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას და მისი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს ტრანზიციის პროცესს და უწყობს ხელს სწავლების ეფექტურობას.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროცედურები და პრაქტიკები ტრანზიციისა და ადაპტაციის კუთხით სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნებს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.......................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

6.დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმის“, ასევე რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის საფუძველზე დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს მრავალფეროვან თამაშებზე დაფუძნებულ აქტივობებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შიდა, ასევე გარე სივრცეებში. საგანმანათლებლო გარემო ორგანიზებულია ისე, რომ ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ მათთვის საინტერესო აქტივობები, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებლად გარემოს კვლევასა და საკუთარი ცოდნის სტრუქტურის შექმნას. აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს ბავშვზე ორიენტირებულმა სასწავლო პროცესის პრინციპებს და ემთხვევა მონტესორის თავისუფალი არჩევანის, STEM-ის კვლევითი პრაქტიკების და რეჯიო-ემილიას მეთოდების არსს, რაც ხელს უწყობს ბავშვების თვითგანვითარებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის უნარების განვითარებას.

ექპერტების მხრიდან მოხდა შენობისა და გარე სივრცის დათვალიერება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ დაწესებულების ჯგუფის ფიზიკური გარემო მოწყობილია მონტესორის შიდა გარემოს კონცეფციის მიხედვით. ოთახში ყველა ავეჯი და საგანი ადაპტირებულია ბავშვებისათვის: მცირე ზომის მაგიდები და სკამები, დაბალი ღია თაროები, რომელთა სიმაღლე ბავშვს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად დაინახოს და გადმოიღოს მასალა. გარემო დაყოფილია თემატურ „ზონებად" ან კუთხეებად – პრაქტიკული ცხოვრების კუთხე, სენსორული მასალების კუთხე, მათემატიკის, ენის, კულტურის (მეცნიერება/ხელოვნება) კუთხეები. თითოეულ ზონაში განთავსებულია შესაბამისი მონტესორული მასალები დალაგებული ლოგიკურ თანმიმდევრობით სირთულის ზრდის მიხედვით. მაგალითისთვის, სენსორულ თაროზე დაწყობილია ზომათა კუბები (ვარდისფერი კოშკი) ყველაზე დიდი დანახული კუბიდან ყველაზე მცირემდე, ხოლო მათ გვერდით – ფერების დაფები, თანმიმდევრულად შეფერადებული წყვილებით და ა.შ. ასეთი სრუკტურა დამონტესორი გარემოში უზრუნველყოფს, რომ ბავშვმა ხედვითაც კი განიცადოს აღსაქმელი ცნებების მოწესრიგება.

ჯგუფში არის საკმარისი თავისუფალი სივრცე, რათა ბავშვებმა შეძლონ იატაკზე სპეციალურ ხალიჩებზე მუშაობა (ეს პრაქტიკა იცავს მასალებს და განსაზღვრავს თითოეულის სამუშაო არეს). გარემო ესტეთიკურია და მოწესრიგებული – ყველა საგანს აქვს თავისი ადგილი თაროზე და დღის ბოლოს ბავშვები თავად აწყობენ მათ უკან.

დაწესებულებას აქვს დაცული ეზო მწვანე სივრცითა და სათამაშო მოედნით. აქ განთავსებულია ასაკის შესაბამისი სათამაშო სტრუქტურები: სასრიალო, ქვიშის კოლოფი, ბურთებით სათამაშო ფართობი, ლაბირინთი, საჩრდილებელი, პატარა ხის სახლი დრამატული თამაშებისთვის.დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ იგეგმება ეზოში პატარა ბაღის, ბოსტნისა და ყვავილების კლუმბებისგაშენება რომლის მოვლაშიც ჩაერთვებიან თავად ბავშვები –მორწყავენ მცენარეებს, დააკვირდებიან როგორ იზრდება ბოსტნეული თუ ყვავილი, ზოგჯერ საგანმანათლებლო პერსონალის დახმარებითშეასრულებენ მცირე სამუშაოს (მიწის ფხვიერება, ფოთლების მოგროვება). ეს გამოცდილება დაახლოვებს ბავშვების კავშირს ბუნებასთან და განუვითარებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას, აღნიშნულ აქტივობებს კი ექნება მხოლოდ თამაშის სახე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები ამ ეტაპზე არ არის სრულად აღჭურვილი და მოწყობილი შესაბამისი ინვენტარითა და რესურსით, თუმცა ზემოაღწერილი ეხება მოწყობილი ჯგუფის სივრცის აღწერას, რომლის ანალოგიც იქნება დაწესებულებაში არსებული რვავე ჯგუფის ოთახი, ამის მტკიცებულებად კი დაწესებულებამ წარმოადგინა დანაკლისი ინვენტარის, საგანმანათლებლო რესურსისა და სათამაშოების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას
1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის # 14 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი“, ადგენს, რომ შპს „მონტესორი უნივერსის“ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას აქვს მუდმივად განახლებადი რესურსების ნუსხა, რომელიც მოიცავს მონტესორის, STEM და რეჯიო-ემილიას პროგრამების შესაბამისი მასალებსა და ხელსაწყოებს. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის რეგულარულ მონიტორინგსა და საჭიროების შესაბამისად კორექტირებას უზრუნველყოფენ როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ისე ადმინისტრაციული სტრუქტურები. ასევე გათვალისწინებულია რესურსების განახლებისა და შევსებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტი, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას და მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

ექსპერტთა შეფასებით, დოკუმენტში არ არის საკმარისად დეტალურად განსაზღვრული ინფორმაციის მიღებისა და მიწოდების მექანიზმები საჭირო რესურსების შესახებ, რაც ქმნის პროცესის გამჭვირვალობისა და ობიეტურობის რისკებს. ასევე არ არის ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რესურსების სწრაფი და მოქნილი განახლებას და დაგეგმვის მიღმა არსებული დაუგეგმავი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია მექანიზმით დეტალურად განისაზღვროს: როგორ და რა წყაროებიდან მიიღებს დაწესებულება ინფორმაციას საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შესახებ (მაგალითად, პერიოდული ანალიზი, პერსონალისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი, მშობელთა შემოთავაზებები და სხვ.).როგორ მოხდება აღნიშნული რესურსების მიწოდება და განახლება, მათ შორის – ბიუჯეტში თავისუფალი სახსრების გათვალისწინება დაუგეგმავი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; დამატებითი ალტერნატიული გზების განსაზღვრა რესურსების მოსაძიებლად (მაგალითად, დონაცია, საგანმანათლებლო მასალების დამზადება ადგილზე, პარტნიორი ორგანიზაციებიდან დახმარების მიღება და სხვა).

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვლული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ შპს „მონტესორი უნივერსის" სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას გააჩნია მონტესორის მასალების სრული სპექტრი, რაც სრულად პასუხობს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღნიშნული მასალები დამზადებულია მაღალი ხარისხის ბუნებრივი და გამძლე მასალებისგან, როგორიცაა ხე და ლითონი, რაც უზრუნველყოფს როგორც მათ ხანგრძლივ გამოყენებას, ასევე ესთეტიკურ აღქმას. მაგალითად, მათემატიკის ზონაში არის წითელ-ლურჯი ჯოხები, მარგალიტების სკალა და ასოების ტრაქტატები; ენის განვითარების კუთხეში – მოძრავი ანბანი და სიტყვათა სამკერდე ბარათები; სენსორულ ზონაში კი გეომეტრიული სხეულები და სურნელების ბოთლები. თითოეული მათგანი მიზნად ისახავს სპეციფიკური სენსორული თუ კოგნიტური უნარის განვითარებას, რაც ჯგუფში მათი სრულყოფილი ხელმისაწვდომობა და კომპლექტურობა აუცილებელია.

საგანმანათლებლო რესურსები არ შემოიფარგლება მხოლოდ მონტესორის მასალებით. ჯგუფში შექმნილია პატარა ბიბლიოთეკის კუთხე, სადაც განთავსებულია ასაკისთვის ადაპტირებული წიგნები – ზღაპრები, ილუსტრირებული ენციკლოპედიები და ლექსების კრებულები, რაც ხელს უწყობს ბავშვთა დამოუკიდებელ წაკითხვასა და კითხვის კულტურის განვითარებას. ხელოვნებისა და ხელსაქმის მასალებიც კარგად არის უზრუნველყოფილი და განთავსებულია სპეციალურ კუთხეში: ფერადი ფანქრები, მარკერები, საღებავები, თიხა და სხვა ხელსაწყოები თავისუფალი შემოქმედებითი ექსპრესიისათვის. მუსიკალური ინსტრუმენტები, როგორიცაა დოლის ნაკრები, ქსილოფონი და ჩაიმები, აგრეთვე სათამაშოები, მათ შორის სამაგიდო და როლური თამაშის ნივთები, სრულად ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის. მაგალითად, თითოეულ ჯგუფში მოწყობილია ბავშვის ზომის სამზარეულოს კუთხე შესაბამისი აღჭურვილობით, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციასა და ფანტაზიის განვითარებას.

შეინიშნება, რომ მოცემულ ეტაპზე ყველა ჯგუფი არ არის სრულად აღჭურვილი ზემოთ აღნიშნული რესურსებით, რაც განპირობებულია ჯგუფების დასუფთავებისა და მოწყობის პროცესებით. თუმცა, როგორც ადასტურებს დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაცია, ჯგუფების მოწყობისათვის საჭირო რესურსები და სათამაშოები სრულად არის არსებულ ადმინისტრაციულ სათავსებში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რესურსები აკმაყოფილებს შესაბამის ინდიკატორთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ხარისხიან, მრავალფეროვან საგანმანათლებლო გარემოს, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია მოსწავლეთა განვითარების სრული პოტენციალის რეალიზაციისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებიდან დადგინდა, რომ დაწესებულების ჯგუფის ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. დაწესებულების ჯგუფის ფიზიკური გარემო მოწყობილია მონტესორის შიდა გარემოს კონცეფციის მიხედვით. ოთახში ყველა ავეჯი და საგანი ადაპტირებულია ბავშვებისათვის: მცირე ზომის მაგიდები და სკამები, დაბალი ღია თაროები, რომელთა სიმაღლე ბავშვს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად დაინახოს და გადმოიღოს მასალა. გარემო დაყოფილია თემატურ „ზონებად" ან კუთხეებად – პრაქტიკული ცხოვრების კუთხე, სენსორული მასალების კუთხე, მათემატიკის, ენის, კულტურის (მეცნიერება/ხელოვნება) კუთხეები. თითოეულ ზონაში განთავსებულია შესაბამისი მონტესორული მასალები დალაგებული ლოგიკურ თანმიმდევრობით სირთულის ზრდის მიხედვით. მაგალითისთვის, სენსორულ თაროზე დაწყობილია ზომათა კუბები (ვარდისფერი კოშკი) ყველაზე დიდი დანახული კუბიდან ყველაზე მცირემდე, ხოლო მათ გვერდით – ფერების დაფები, თანმიმდევრულად შეფერადებული წყვილებით და ა.შ. ასეთი სრუქტურა დამონტესორი გარემოში უზრუნველყოფს, რომ ბავშვმა ხედვითაც კი განიცადოს აღსაქმელი ცნებების მოწესრიგება.
დაწესებულებას აქვს დაცული ეზო მწვანე სივრცითა და სათამაშო მოედნით. გარე სივრცეში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სათამაშო სტრუქტურები: სასრიალო, აიწონა–დაიწონა, ქვიშის კოლოფი, ბურთებით სათამაშო ფართობი, ლაბირინთი, საჩრდილებელი, პატარა ხის სახლი დრამატული თამაშებისთვის. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ იგეგმება ეზოში პატარა ბაღის, ბოსტნისა და ყვავილების კლუმბების გაშენება რომლის მოვლაშიც ჩაერთვებიან თავად ბავშვები – მორწყავენ მცენარეებს, დააკვირდებიან როგორ იზრდება ბოსტნეული თუ ყვავილი, ზოგჯერ საგანმანათლებლო პერსონალის დახმარებით შეასრულებენ მცირე სამუშაოს (მიწის ფხვიერება, ფოთლების მოგროვება). ეს გამოცდილება

დაახლოვებს ბავშვების კავშირს ბუნებასთან და განუვითარებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას, აღნიშნულ აქტივობებს კი ექნება მხოლოდ თამაშის სახე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები ამ ეტაპზე არ არის სრულად აღჭურვილი და მოწყობილი შესაბამისი ინვენტარითა და რესურსით, თუმცა ზემოაღწერილი ეხება მოწყობილი ჯგუფის სივრცის აღწერას, რომლის ანალოგიც იქნება დაწესებულებაში არსებული რვავე ჯგუფის ოთახი, ამის მტკიცებულებად კი დაწესებულებამ წარმოადგინა დანაკლისი ინვენტარის, საგანმანათლებლო რესურსისა და სათამაშოების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფის ოთახებსა და გარე სივრცეში განლაგებული ავეჯი და ეზოს სათამაშო ინვენტარი კურიკულუმის შესაბამისია, ავეჯი ბავშვის ზომისაა. ამჟამად ჯგუფის ოთახების მოწყობა არ არის დასრულებული, თუმცა ავეჯი და მისი ზომები იძლევა საშუალებას, რესურსი განლაგდეს ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას და იყოს მისთვის ხელმისაწვდომი. თითოეული ჯგუფის ოთახი მოწყობილი იქნება იდენტურად ერთი და იგივე სახის ავეჯითა და რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

3.ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფური ოთახები მოწყობილია ისე, რომ თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ აქტივობებში — მცირე ან დიდ ჯგუფში მუშაობაში, ინდივიდუალურ ან თანამშრომლობით საქმიანობაში. გარემო ასევე ითვალისწინებს სივრცეებს დასვენებისა და განმარტოებისთვის, რაც ემსახურება ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და თვითრეგულაციის უნარების განვითარებას. ეს მიდგომა სრულად ეხმიანება როგორც მონტესორის საგულდაგულოდ სტრუქტურირებული გარემოს პრინციპს, ასევე რეჯიო-ემილიას კონცეფციას გარემოს, როგორც „მესამე მასწავლებლის“ შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები განსაზღვრულია შპს “მონტესორი უნივერსის” დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმით“. დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის შეფასება განხორციელდება ყოველდღიური დაკვირვებების, პერიოდული ფორმალური და არაფორმალური შეფასებების მეშვეობით. მონტესორის მეთოდის პრინციპების შესაბამისად, შეფასების მთავარი მეთოდი იქნება ბავშვის საქმიანობის უშუალო დაკვირვება. ასევე, STEM და რეჯიო-ემილიას პროექტებზე მუშაობისას, შეფასების პროცესი მოიცავს ბავშვების თვითრეფლექსიას, საგანმანათლებლო პერსონალის შეფასებასა და პროცესის ერთობლივ ანალიზს. შეფასება რეგულარულად და სისტემატურად დაფიქსირდება ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, რათა შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური პროგრესის დინამიკის დეტალური გაანალიზება.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაწესებულებაში ამოქმედდება ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა, რომელიც დაეფუძნება როგორც სტრუქტურირებულ, ასევე არასტრუქტურირებულ მეთოდებს. საგანამანათლებლო პერსონალი აწარმოებს დაკვირვების ჩანაწერებს, საჭიროების შემთხვევაში გადაიღებს ვიზუალურ მასალას (ფოტო, ვიდეო) ჩაინიშნავს ბავშვის შესაძლებლობებს, მიღწევებს, გამოწვევებსა და საჭიროებებს, რაც შემდგომ გამოიყენება ინდივიდუალური პროგრესის ანალიზისა და დაგეგმვის მიზნებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა დაეხმარება როგორც მშობლებს, ისე პერსონალს, უკეთ გაიგონ ბავშვის საჭიროებები და გააძლიერონ მისი ინდივიდუალური პოტენციალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................................

2.შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს ბავშვის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დოკუმენტის თანახმად შეფასება განიხილება, როგორც სასწავლო პროცესის უწყვეტი და განუყოფელი ნაწილი. მთავარი აქცენტი გაკეთდება ფორმატიულ შეფასებაზე – ყოველდღიურ დაკვირვებასა და პროგრესის დაფიქსირებაზე, ვიდრე ფორმალურ ტესტირებაზე. საგანმანათლებლო პერსონალი სისტემატურად დააკვირდება თითოეულ ბავშვს სხვადასხვა კონტექსტში: ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებისას, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისას, ასევე სოციალურ სიტუაციებში. ეს დაკვირვებები ჩაიწერება სპეციალურ ჟურნალებში ან ციფრულ პლატფორმაზე. Montessori Kids Universe გამოყენებს ბავშვის განვითარების ჩანაწერების მეთოდს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: თითოეული ბავშვისთვის იწარმოება ინდივიდუალური სასწავლო პროფილი, სადაც აღინიშნება მისი მიღწევები სხვადასხვა სფეროში (ენობრივი, მათემატიკური, სენსომოტორული, სოციალურ-ემოციური უნარები და სხვ.) და პროგრესის დინამიკა. აღნიშნული პროფილი შეიძლება მოიცავდეს განზოგადებულ შეფასების ფორმას, რომელიც თავსებადი იქნება საქართველოს სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკაში მიღებულ დოკუმენტებთან (მაგალითად, „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების შეფასების ფორმასთან“ თუ მსგავს სახელმძღვანელო ფორმასთან). ეს გააერთიანებს საერთაშორისო Montessori შეფასების მიდგომას ეროვნულ ჩარჩოსთან.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ შეფასების შედეგები დაწესებულებას არ აქვს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისი ჩანაწერი დაწესებულებას გაწერილი აქვს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში, რომლის თანახმადაც დაწესებულების პერსონალი ყოველ კვირა/თვეში გაანალიზებს ბავშვის განვითარების შედეგს – რომელ მასალებს დაეუფლა, რა ახალი უნარები გამოამჟღავნა, რომელ სფეროებში სჭირდება მეტი სტიმული. შეფასების პროცესში საგანმანათლებლო პერსონალი არ გამოიყენებს ქულებს ან ბავშვების ერთმანეთთან შედარებას. თითოეული ბავშვი ინდივიდუალურად, შეადარდება საკუთარ წინა ეტაპს – ანუ პროგრესს ამ ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, დააკორექტირებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (მაგალითად, თუ ბავშვმა მოსალოდნელზე ადრე აითვისა მათემატიკური უნარები, პერსონალი შესთავაზებს უფრო რთულ აქტივობებს; ან თუ მეტყველების განვითარება შეფერხებულია, დამატებით იმუშავებენ ლექსიკურ თამაშებზე) და აღნიშნულ შეფასებას გამოიყენებს საგანმანათლებლო პროცესის უკეთ დაგეგმვისთვის. მიღებულ ინფორმაციას, საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე რეგულარულად გაუზიარებს მშობლებს. დაწესებულებაში დაინერგება მშობელთა კონსულტაციის სისტემა. თითოეული სემესტრის ბოლოს გაიმართება ინდივიდუალური შეხვედრა მშობელთან, სადაც განიხილება ბავშვის პორტფოლიო და პროფილი. მშობელთან ერთად პერსონალი გაანალიზებს ამ პორტფოლიოს, გამოარჩევს ბავშვის ძლიერ მხარეებს და იმ უნარებს, რომელთა განმტკიცებაც კიდევაა საჭირო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის" თანახმად დაწესებულება ბავშვის შეფასების პროცესში გაითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. საგანმანათლებლო პერსონალი რეგულარულად გაუზიარებენ მშობლებს დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას ბავშვის პროგრესის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-აღზრდის პროცესის ერთიანობასა და თანმიმდევრულობას. მშობლები მონაწილეობას მიიღებენ შეფასების პერიოდულ განხილვებში, მათ ექნებათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის განვითარების სრულფასოვანი მხარდაჭერისთვის. დაწესებულების აღმზრდელი რეგულარულად შეხვდება მშობელს და განიხილავს ბავშვის მიღწევებს, სირთულეებს და განვითარებას.
შეხვედრები იქნება კვირეული ან თვიური, რაც დამოკიდებული იქნება ბავშვის პროგრესსა და მშობლის მოთხოვნებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სავალდებულო დანართი N4 - დამტკიცებული კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩო
2. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #12 - სავალდებულო დანართი N4 - კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცებაზე და ბრძანება #21 - ცვლილება ბრძანების #12 - სავალდებულო დანართი N4 - კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცებაზე
3. სავალდებულო დანართი N5 - დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი
4. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #13 - სავალდებულო დანართი N5 - კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცებაზე
5. სავალდებულო დანართი N6 - დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი
6. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #14 - სავალდებულო დანართი N6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცებაზე

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

## 1.დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის # 13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტით“ განსაზღვრულია კურიკულუმის შეფასებისა და განახლების პროცესი. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის ეფექტურობა რეგულარულად შეფასდება ბავშვის უნარებისა და პროგრესის მუდმივი დაკვირვებით. შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან საგამანათლებლო პერსონალი და მშობლები, რომლებიც პერიოდულად მიაწვდიან დეტალურ უკუკავშირს. მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასებისთვის, რაც საფუძვლად დაედება კურიკულუმის განახლებასა და გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების შეფასებისა და განახლების პროცესი განხორციელდება Montessori Kids Universe-ს DaVinci Kidsის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ და იმ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც მოწვეულ იქნა კურიკულუმის კონტექსტუალიზაციის და ავტორიზაციისთვის საჭირო სავალდებულო დოკუმეტნაციის შექმნის მიზნით, შეთანხმებული პერიოდულობით.

დაწესებულებას ინიდკატორის მოთხოვნასთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც 2.3.1. კომპონენტია იდენტიფიცირებული, ხოლო შეუსაბამობის აღწერაში დეკლარირებულია „კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის დანერგვა ქართულენოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განხორციელების პროცესში“ განხორციელების ვადად მითითებული 17 თვე ხოლო მონიშნულია მეტწილი შესაბამისობა. იმის გათვალისწინებით რომ მხოლოდ 12 თვის ვადაში შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში შეუძლია დაწესებულებას მეტწილის მონიშვნა, წარმოდგენილი გეგმა არ იქნა ექსპერტების მიერ რელევანტურად მიჩნეული.
ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

რეკომენდებულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში დაწესებულების მიერ იდენტიფიცირებული აქტივობის: „კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის დანერგვა ქართულენოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განხორციელების პროცესში“ რელევანტური ვადების განსაზღვრა და მისი სრულფასოვანი იმპლემენტაცია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებს შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება სტანდარტთან მიმართებაში, მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება, თუმცა დაწესებულებას შესაბამისი დოკუმენტით უნდა ქონდეს მოსალოდნელი პროცესი გაწერილი და გაანალიზებული. ამ შემთხვევაში აღნიშნული პროცესი აღწერილი უნდა იყოს შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტით „ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად დაწესებულება გეგმავს კურიკულუმის ეფექტურობა დაადგინოს ბავშვის უნარებისა და პროგრესზე დაკვირვებით, შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მშობლები, მიღებული უკუკავშირი და მონაცემები იქნება კურიკულუმის განახლებისა და გაუმჯობესების საფუძველი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
1.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის # 13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი“

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.3.კურიკულუმის შეფასება და განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.კურიკულუმი [5]

### პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
(ინგლისურენოვანი)

### კურიკულუმის დასახელება

მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო (ინგლისურენოვანი სექტორისათვის)

[5]მეორესტანდარტის „კურიკულუმის“ ყველაველიივსებათითოეულიპროგრამისათვისცალ-ცალკე.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

#### 1.პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი (ინგლისურენოვანი სექტორისათვის), რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 24 მარტის №12 ბრძანებით (ცვლილება 15.04.2025 №21). დოკუმენტი ეფუძნება Montessori Kids Universe-ის ექსკლუზიურ ფრენჩაიზინგ პროგრამას – Montessori Kids Universe DaVinci Kids – და მისი შინაარსი ადაპტირებულია საქართველოს ეროვნულ სტანდარტებთან და ადგილობრივ კონტექსტთან. ეს არის მნიშვნელოვანი დადებითი საფუძველი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის საერთაშორისო გამოცდილებასა და ადგილობრივ მოთხოვნებთან შერწყმას.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც კურკულუმის ინგლისურ ენაზე განხორციელების შეთანხმება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან დაგემილი იყო 30 აპრილის ჩათვლით.

ვიზიტისას წარმოდგენილი იქნა დასახელებული თანხმობა, შესაბამისად დასტურდება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის შესრულება დადგენილ ვადებში.

კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს ძირითად თეორიულ და მეთოდოლოგიურ პრინციპებს, მიზნებს, შინაარსსა და შეფასების ზოგად მიდგომებს, ასევე 2–6 წლამდე ასაკის ბავშვების სასწავლო გეგმას. ამასთან, მოცემული ტექსტები ხშირ შემთხვევაში ზედმეტად ზოგადია და არ ასახავს დეტალურად იმ ეტაპებსა და პროცედურებს, რომლებიც აუცილებელია კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების პროცესის გამჭვირვალე და სისტემური წარმართვისთვის.

საგულისხმოა, რომ კურიკულუმის ჩარჩო დამტკიცებულია „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტის“ მიღებამდე, რაც ლოგიკური თანმიმდევრობის თვალსაზრისით საჭიროებს გადახედვას. გარდა ამისა, მარეგულირებელ დოკუმენტში აღწერილი პროცესები მეტწილად ასახავს უკვე შერჩეული კურიკულუმის გამოყენებას და ეფუძნება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებულ ზოგად მეთოდოლოგიას, რომელიც უფრო მეტად არის გზამკვლევი და არა კონკრეტული დაწესებულებისთვის მორგებული პროცედურული საფუძველი.

დაწესებულებას აქვს მნიშვნელოვანი წინაპირობა კურიკულუმის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი შერჩევისა და ადაპტაციის კუთხით. პროცესების შიდა დოკუმენტებში მკაფიო, ეტაპობრივი აღწერა არსებითად გააძლიერებს კურიკულუმის მართვის სისტემურობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

## რეკომენდაცია

## რჩევა

1. დოკუმენტის სახელწოდების დაზუსტება – სასურველია დოკუმენტს ეწოდოს: ,,კურიკულუმის შერჩევის, შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რაც მკაფიოდ ასახავს მის შინაარსსა და რეგულირების სფეროს.
2. დოკუმენტში გაინისაზღვროს დაწესებულების მიერ კურიკულუმის შერჩევის/შემუშავების პროცესი და ეტაპები, რომელსაც მოიცავს აღნიშნული პროცესი. მაგალითად პირველი ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, შეიქმნას და იდენტიფიცირებული იყოს კურიკულუმის შერჩევის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და მისი ფუნქციონირება განსაზღვრული იყოს დაწესებულების ხელმძღვანელი პირის ბრძანებით.
3. დაწესებულებამ განსაზღვროს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პროცესი და მისი ეტაპები: ა)განსაზღვრული იყოს რა არის კურიკულუმის შეფასების მიზანი.ბ) რა პერიოდულობით და ვინ ახორციელებს კურიკულუმის შეფასებას. გ) რას ეფუძნება კურიკულუმის შეფასება, რას გულისხმობს თითოეული მათგანი.

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 2.დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ეფუძნება მონტესორის მეთოდს და ასევე ინტეგირებულია მასში რეჯიო-ემილიას მიდგომები, რაც ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას. მონტესორის მეთოდი უზრუნველყოფს სენსორული განვითარების, შემეცნებითი უნარებისა და დამოუკიდებლობის ხელშეწყობას, ხოლო თავისუფალი არჩევანის პრინციპი ბავშვს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთოს სწავლისა და განვითარების პროცესში. რეჯიო-ემილიას მიდგომა აძლიერებს ბავშვების სოციალური და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, ხელს უწყობს დამოუკიდებელ ექსპერიმენტირებასა და თამაშზე დაფუძნებული პროექტების განხორციელებას, რაც თავის მხრივ აყალიბებს თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის უნარებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო განსაზღვრავს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს. დოკუმენტი მოიცავს პროგრამის თეორიულ საფუძვლებს, მიზნებს, შინაარსობრივ კომპონენტებს, დანერგვის პრინციპებს, მეთოდოლოგიას, ფიზიკურ გარემოსა და საგანმანათლებლო რესურსებს, შეფასების სისტემას და სხვა საკვანძო ელემენტებს. ჩარჩო ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარების კონცეფციას (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური და სოციალური უნარების განვითარება) და შეესაბამება როგორც მონტესორის განათლების პრინციპებს, ასევე საქართველოს სკოლამდელი განათლების ეროვნული სტანდარტების მოთხოვნებს.

კურიკულუმის მიზნები მოიცავს:

- ბავშვის ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას, ინდივიდუალური ტემპისა და თავისებურებების გათვალისწინებით;
- დამოუკიდებლობისა და თვითდაჯერებულობის ჩამოყალიბებას, თვითმომსახურებისა და პასუხისმგებლობის უნარების განვითარებას;

- კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას, მათ შორის ენის მდიდარი სტიმულირებით, კითხვისა და წერის დაწყებითი უნარების ჩამოყალიბებას;
- ელემენტარული მათემატიკური და მეცნიერული წარმოდგენების ფორმირებას, რაც საფუძველს უყრის ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას;
- შემოქმედებითი და კვლევითი უნარების წახალისებას STEAM და პროექტულ აქტივობებში ჩართვის გზით;
- სოციალური უნარებისა და ემოციური კომპეტენციების განვითარებას ჯგუფურ და კოლაბორაციულ გარემოში; ▪ გარემოსა და საზოგადოების მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბებას, კულტურული ცნობიერების გაძლიერებას; ▪ სკოლისთვის მზაობის უზრუნველყოფას, მათ შორის სწავლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრული კურიკულუმის შინაარსი უზრუნველყოფს მრავალფეროვან სასწავლო გამოცდილებას, მოიცავს მონტესორის ტრადიციულ სასწავლო სფეროებსა და პრაქტიკული ცხოვრებისათვის საჭირო უნარების, სენსორული, ენობრივი, მათემატიკური, მეცნიერული და ფიზიკური უნარების განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კურიკულუმის შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული, ადგილობრივ კონტექსტზე ადაპტირებული კურიკულუმით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3.კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი და მასთან შესაბამისი კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო პროგრამის სრულ სტრუქტურასა და შინაარსს. კურიკულუმის ჩარჩოს მიზანია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის, ბავშვზე ორიენტირებული და ინდივიდუალური განვითარების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, რომელიც ეფუძნება თამაშზე დამყარებულ სწავლებას.

პროგრამა აგებულია მონტესორისეული მიდგომის პრინციპებზე, რომლის მიხედვითაც ბავშვი აღიქმება, როგორც აქტიური მაძიებელი და შემსწავლელი, ხოლო საგანმანათლებლო პერსონალი – როგორც დამკვირვებელი და შემწყობი. საგანმანათლებლო პროცესში წამყვანი როლი ენიჭება ბავშვის თავისუფალ აქტივობას, ხოლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობა მორგებულია თითოეული ბავშვის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე. გადაწყვეტილებები სწავლების შინაარსსა და მეთოდებზე მიიღება ბავშვების ინდივიდუალური დაკვირვების საფუძველზე, რაც პროგრამას ანიჭებს მოქნილ და ადაპტურ ხასიათს.
მეთოდოლოგიური მიდგომის თანახმად, ახალი მასალის ან აქტივობის გაცნობა ხორციელდება ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში, შემდეგ კი ბავშვს ეძლევა დრო და სივრცე, რომ დამოუკიდებლად ივარჯიშოს და იმუშაოს საკუთარი ტემპით. სწავლების ეს მოდელი ეფუძნება შინაგან მოტივაციას, რაც უზრუნველყოფს ბავშვის ჩართულობას არა მხოლოდ ზრდასრული ადამიანის მოლოდინის დასაკმაყოფილებლად, არამედ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

საგანმანათლებლო პერსონალი ჯგუფში ასრულებს დამკვირვებლისა და მეგზურის ფუნქციას: დინამიურად გადაადგილდება სამუშაო ციკლის განმავლობაში, აფიქსირებს თითოეული ბავშვის მიღწევებსა და სირთულეებს, საჭიროების შემთხვევაში კი ფრთხილად აწვდის მიმართულებას ან სთავაზობს ალტერნატიულ აქტივობებს, მინიმალური ჩარევის პრინციპის დაცვით.

დაწესებულების მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა“ განსაზღვრულია თამაშზე დაფუძნებული განათლების პრინციპები, რომლის მიხედვითაც თითოეულ ბავშვს დღის განმავლობაში აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს სხვადასხვა ტიპის თამაშში – როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, შენობაში და გარე სივრცეში. საგანმანათლებლო გარემო ისეა ორგანიზებული, რომ ბავშვებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ მათთვის საინტერესო აქტივობები, გამოიკვლიონ გარემო და ჩამოაყალიბონ საკუთარი ცოდნის სტრუქტურა.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მეთოდოლოგიური აღწერა ადასტურებს, რომ დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული და განვითარების საჭიროებებზე მორგებული კურიკულუმით, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებულ, თამაშზე დაფუძნებულ და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროცესს.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................

## 4.კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც უკვე აღინიშნა დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ინტეგრირებულია რეჯიო-ემილიას მიდგომის პრინციპებთან, რომლებიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ოჯახისა და თემის აქტიურ მონაწილეობას საგანმანათლებლო პროცესში. აღნიშნული მიდგომა ემსახურება ბავშვების განვითარებისთვის მდიდარი, მრავალფეროვანი და სტიმულირებადი გარემოს შექმნას.

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის ეფექტიანი დანერგვა ემყარება რამდენიმე ძირითად პრინციპს, რომელთაგან ერთერთი საკვანძო მიმართულებაა მშობლებთან თანამშრომლობა. ეს თანამშრომლობა გულისხმობს მშობლების აქტიურ ჩართულობას როგორც სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, ისე ბავშვის ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობაში.

დაწესებულება გეგმავს რეგულარულ კომუნიკაციას მშობლებთან სხვადასხვა ფორმატით: მშობელთა შეხვედრები, კონსულტაციები, ინდივიდუალური პროგრესის განხილვები. თითოეული სემესტრის ბოლოს ხორციელდება ინდივიდუალური შეხვედრა მშობელთან, სადაც განიხილება ბავშვის პორტფოლიო და პროფილი, აღინიშნება მისი ძლიერი მხარეები და განვითარების მიმართულებები. ამ პროცესში მშობელთან

ერთად განისაზღვრება მომდევნო პერიოდის პრიორიტეტები, მათ შორის სახლის პირობებში მხარდამჭერი გარემოს შექმნის გზები (მაგალითად, ბაღში დამოუკიდებელი კვების უნარის განვითარება გაგრძელდება სახლშიც).

ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა კურიკულუმში გათვალისწინებული „დამკვირვებლის ფორმა“ მშობლებისთვის. აღნიშნული ფორმა მოიცავს ინსტრუქციას მშობლისთვის, რომელიც დაკვირვების მიზნით ესტუმრება ჯგუფს და შეავსებს შესაბამის ველებს, რაც მოიცავს: ჯგუფში არსებულ გარემოსა და ატმოსფეროს შეფასებას, ბავშვის ჩართულობისა და სოციალური ურთიერთობების აღწერას, ემოციებისა და ქცევის დაკვირვებას. ფორმის შევსების შემდეგ მშობელს ეძლევა შესაძლებლობა შეადგინოს საერთო შეფასება, გამოთქვას მოსაზრება, დასვას კითხვები, გააკეთოს რეკომენდაციები ან მისცეს რჩევა.

აღნიშნული მექანიზმები უზრუნველყოფს მშობლების არა მხოლოდ ინფორმირებულობას, არამედ მათი რეალური პარტნიორობას საგანმანათლებლო პროცესში, რაც წარმოადგენს ეფექტიანი და ბავშვზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულებას დაგეგმილი აქვს  სისტემურად და მიზანმიმართულად უზრუნველყოს ოჯახისა და თემის ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესში,
 ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის მიხედვით, პროგრამა სრულად მოიცავს ყველა საგანმანათლებლო მიმართულებასა და საგანს, რომლებიც ბავშვებს წარედგინება „მონტესორი უნივერსის“ სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. კურიკულუმის შინაარსი ეფუძნება მონტესორის მეთოდს, რომელიც მოიცავს ასაკობრივად ადაპტირებულ მასალებსა და მრავალფეროვან აქტივობებს. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ბავშვებში ყოველდღიური ცხოვრების, სენსორულ, ენობრივ და მეტყველების უნარების განვითარებას, ასევე მათემატიკური წარმოდგენების, მეცნიერული უნარებისა და სხვა საკვანძო კომპეტენციების ჩამოყალიბებას. მეთოდოლოგიის თანახმად, სასწავლო პროცესი ხორციელდება მოქნილი, მაგრამ სტრუქტურირებული რეჟიმით, რაც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ საქმიანობას. დღის განმავლობაში ინდივიდუალური აქტივობების პარალელურად იგეგმება ჯგუფური მუსიკალური სესიები, ფიზიკური ვარჯიშები და ერთობლივი პროექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყოველკვირეული თემატური გაკვეთილები DaVinci Kids პროექტის ფარგლებში, სადაც მთელი ჯგუფი ერთიანდება საერთო თემის კვლევაში (მაგალითად: „კოსმოსი“, „ჩვენი ქალაქი“, „წლიური სეზონები“), ატარებს ექსპერიმენტებს ან ქმნის ნამუშევრებს კოლაბორაციულად.

კურიკულუმის სტრუქტურა და დაგეგმილი აქტივობები ხელს უწყობს ბავშვის როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ განვითარებას. თვითმართული მუშაობა განაპირობებს დამოუკიდებლობისა და პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ხოლო გუნდური აქტივობები — მოსმენის, შეთანხმების და საერთო მიზნისთვის თანამშრომლობის უნარების ჩამოყალიბებას.

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი აერთიანებს პრაქტიკულ და შემეცნებით კომპონენტებს (STEM მიდგომები) და მოიცავს შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს (რეჯიო-ემილიას პროექტები). აღნიშნული ინტეგრირებული მიდგომა უზრუნველყოფს მრავალფეროვან საგანმანათლებლო გამოცდილებას, რომელიც ადაპტირებულია ბავშვთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ კურიკულუმის შინაარსი უზრუნველყოფს ბავშვის კომპლექსურ განვითარებას ყველა აუცილებელი საგანმანათლებლო მიმართულების გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას აქვს დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი — „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს კურიკულუმის გაზიარების პროცესებს როგორც პერსონალთან, ისე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს შერჩეული კურიკულუმის გაცნობას მშობლებისთვის ოქტომბრის თვეში, რაც არ შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც კურიკულუმს მშობლებს გაუზიარებენ სწავლების დაწყებამდე. აღნიშნული წინასწარი გაცნობა უზრუნველყოფს მშობლებისთვის დაწესებულების საგანმანათლებლო შეთავაზების დროულად ცოდნას, რაც აუცილებელია სწორი მოლოდინების ჩამოყალიბებისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად საკუთარი შვილის განათლების შესახებ.

კურიკულუმის გაზიარების პროცედურები ასახულია აგრეთვე დაწესებულების „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელ დოკუმენტში“. დოკუმენტში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი იმის შესახებ, რომ კურიკულუმის დეტალები და გამოყენებული მიდგომები ხელმისაწვდომი იქნება პერსონალისთვის და მშობლებისთვის, რაც ხელს უწყობს თანმიმდევრულობასა და გამჭვირვალობას აღზრდისა და განათლების პროცესში. აღნიშნული მიდგომა თანხვედრაშია რეჯიო-ემილიას პრინციპებთან, რომლის მიხედვითაც მშობლებისა და მასწავლებლების აქტიური თანამშრომლობა და რეგულარული კომუნიკაცია განათლების პროცესის განუყოფელი ნაწილია. თუმცა, წარმოდგენილი ჩანაწერი არ მოიცავს დეტალურ აღწერას კურიკულუმის გაზიარების პროცედურისა, მისი მნიშვნელობის განმარტებასა და მიზნობრივ შედეგებზე დაკონკრეტებას.

დაწესებულების გენერალური მენეჯერის განმარტებით, თითოეულ პირს, ვისაც სურვილი აქვს ჩარიცხოს ბავშვი შპს „მონტესორი უნივერსში“, გადაეცემა სპეციალურად დამზადებული სამახსოვრო/ბუკლეტი, რომელიც შეიცავს ზოგად ინფორმაციას კურიკულუმის ძირითად მიზნებზე, მეთოდზე და ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მოწოდებული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმის გაზიარების პრაქტიკას, თუმცა მისი დაგეგმვის ვადები და პროცესის აღწერა საჭიროებს გაუმჯობესებას, რათა გაზარდოს პროცესის გამჭვირვალობა.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

3. კურიკულუმის გაზიარებამდე მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკრეტული ინფორმაციის მოცულობა, ფორმატი და მიწოდების არხები, ხოლო შემდეგ დაიგეგმოს მიზნობრივი აქტივობები შერჩეული საკითხების ეფექტურად გაცნობისთვის.
4. მიზნშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს კურიკულუმის გაცნობა მშობლებისთვის სასწავლო წლის დაწყებამდე, შესაბამისი ღონისძიებების წინასწარი დაგეგმვითა და ორგანიზებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების
მტკიცებულებები.

1. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #12 ბრძანება;
2. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანება;
3. კურიკულუმის ჩარჩო;
4. შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი“
5. შპს მონტესორ უნივერსის დირექტორის 2025 წლის 15 მარტის # 3 ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.1.კურიკულუმის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

### 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1.საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 აპრილის #21 ბრძანებით დამტკიცებული „შპს მონტესორი უნივერსის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის“ თანახმად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის შეიმუშავებს გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს. კურიკულუმის ჩარჩოს ამოქმედება მოხდება გრძელვადიანი დაგეგმვის საშუალებით. ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში საგანმანათლებლო პერსონალი შეიმუშავებს წლიურ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება კურიკულუმის მიზნებსა და შინაარსზე. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, წლიური გეგმა განსაზღვრავს, როგორი თანმიმდევრობით და რა ხანგრძლივობითგანაწილდება პროგრამის სხვადასხვა თემატიკა და აქტივობა. წლიურ გეგმაში ასევე გათვალისწინებული იქნება დღესასწაულები და კულტურული ღონისძიებები, ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან.

დაწესებულება გეგმავს ასევე შეიმუშაოსმოკლევადიანი, კვირის და დღის გეგმები. დოკუმენტის თანახმად, კვირის გეგმა განსაზღვრავს ყოველკვირეული აქტივობების განრიგს: რომელი ახალი მასალები იქნება წარმოდგენილი, რა ჯგუფური თემატური გაკვეთილები ჩატარდება, ასევე დეტალურადიქნება გაწერილი, თუ რომელი ბავშვი რაზე იმუშავებს ინდივიდუალურად – ამისთვის პერსონალი დაეყრდნობა წინა კვირის დაკვირვების ჩანაწერებს და დაგეგმავს ყოველი ბავშვის წინსვლისთვის შესაფერის ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2.კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი" , დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პერსონალი მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც გულისხმობს გეგმების, ჩანაწერების, პორტფოლიოების და შეფასების ფორმების არსებობას, ადვილად ააგებს გეგმებს, რომლებსაც შემდგომში გამოიყენებს სწავლების პირობითი კორექტივებისა და ინდივიდუალური მიდგომების დასაგეგმად, რითაც მაქსიმალურად შესაბამის გარემოს შექმნის ჯგუფის სრული პოტენციალის გასახსნელად. თუმცა დოკუმენტში არ არის აღწერილი გეგმის შემუშავების პროცესი. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუქნციონირებს აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებები არ არსებობს, შემუშავებული წესი კი ძალიან ზოგადია და არ იძლევა მკაფიო სურათს იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნება დაწესებულებაში გეგმები, რა პერიოდულობითა და ხანგრძლივობით, როდის და ვის მიერ მოხდება მოკლევადიანი და

გრძელვადიანი გეგმების შემუშავება, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იქნება თუ არა ჩართული პროცესში, იქნება თუ არა პროცესი თანამონაწილეობითი.
ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებული დოკუმენტში „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი“ დეტალურად გაიწეროს თუ როგორ შეიქმნება დაწესებულებაში გეგმები, რა პერიოდულობითა და ხანგრძლივობით, როდის და ვის მიერ მოხდება მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვლული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 3.საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმის“ დოკუმენტში მოცემულია ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია წარმოადგენს ჯგუფის უნიკალური საჭიროებებისა და ინტერესების ამსახველ წერილობით და ვიზუალურ მასალას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს შეიძლება მოიცავდეს გეგმებს, დაკვირვების ჩანაწერებს, ბავშვების ნამუშევრების პორტფოლიოებს, შეფასების ფორმებს ან მშობლებთან კომუნიკაციის ჩანაწერებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ფორმულირება ზოგადად ასახავს ჯგუფის განვითარების პროცესის დოკუმენტირებისა და საჭიროებების დაფიქსირების იდეას, ტექსტი რჩება ზედმეტად ზოგადი და არ იძლევა მკაფიო წარმოდგენას იმაზე, კონკრეტულად რომელი დოკუმენტაციის წარმოებას გეგმავს დაწესებულება. დოკუმენტში არ არის დეტალურად გაწერილი:

- თითოეული დოკუმენტის დანიშნულება საგანმანათლებლო პროცესში;
- მათი წარმოების ფორმა, სტრუქტურა და შინაარსობრივი მოცულობა;
- პასუხისმგებელი პირები დოკუმენტაციის შედგენისა და დამტკიცების პროცესში;
- წარმოების პერიოდულობა და ხანგრძლივობა;
- შემდგომი გამოყენების წესები, მათ შორის, როგორ აისახება დოკუმენტში დაფიქსირებული მონაცემები გეგმებში, მიზნებში და რეფლექსურ ჩანაწერებში;
- როგორ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პერსონალი ამ დოკუმენტაციაში ასახული ინტერესებისა და ინდივიდუალური თავისებურებების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში.

დასახელებული ხარვეზები მნიშვნელოვნად ზღუდავს მექანიზმის ეფექტიანობას და არ იძლევა მყარ საფძველს, რომ დოკუმენტაცია სისტემურად და მიზანმიმართულად იქნება გამოყენებული როგორც ჯგუფის საჭიროებებისა და ინტერესების სრულყოფილი ასახვის, ისე ინდივიდუალური და ჯგუფური საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს მხოლოდ ის დოკუმენტაცია, რომლის წარმოებასაც აპირებს დაწესებულება საგანმანათლებლო პროცესში. გაანალიზდეს თითოეული დოკუმენტი, იქნება ეს გეგმა/გეგმები, პორტფოლიო, რეფლექსური თუ ინდივიდუალური ჩანაწერები, რა მნიშვნელობა ექნება თითოეულ დოკუმენტს საგანმანათლებლო პროცესში, რა ხანგრძლივობითა და პერიოდულობით იწარმოება თითოეული მათგანი, როგორი იქნება მათი ფორმა, ვისი პასუხისმგებლობა იქნება მისი წარმოება, როგორ მოხდება მათი შემდგომი გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და ვის მიერ იქნება დამტკიცებული.

.

## რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებულ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში, მეთოდოლოგიის ნაწილში, მკაფიოდ არის აღწერილი ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო მიდგომა. დოკუმენტის მიხედვით, საგანმანათლებლო პერსონალი წინასწარ ადგენს თითოეული ბავშვისთვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება მისი განვითარების ეტაპისა და ინტერესების დეტალურ ანალიზს.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს გაკვეთილების ინდივიდუალურ პრეზენტაციას — პედაგოგი თითოეულ ბავშვს ან მცირე ჯგუფს ინდივიდუალურად აცნობს ახალ მასალას ან აქტივობას, აჩვენებს მის გამოყენების წესს, რის შემდეგაც ბავშვს ეძლევა დრო და სივრცე დამოუკიდებელი პრაქტიკისთვის. ეს პროცესის ორგანიზება შესაძლებელს ხდის, რომ ბავშვი იმუშაოს საკუთარი ტემპით, საჭიროების შემთხვევაში რამდენჯერმე გაიმეოროს ვარჯიში და სრულფასოვნად შეითვისოს მასალა.

დოკუმენტში მოყვანილი მაგალითები ასახავს ამ მიდგომის პრაქტიკულ გამოყენებას: შესაძლოა ერთი ბავშვი რამდენიმე კვირის განმავლობაში იყოს ჩართული სენსორულ აქტივობებში, ხოლო მეორე — მათემატიკური მასალების სიღრმისეულ შესწავლაში, რითაც თითოეული მიჰყვება საკუთარი პროგრესის ხაზს. აღნიშნული მიდგომა ეფუძნება შინაგან მოტივაციას, რაც ხელს უწყობს სწავლებისადმი მდგრადი ინტერესის განვითარებას.

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს ინდივიდუალური განვითარების გეგმების ინტეგრაციას საგანმანათლებლო პროცესში. დაკვირვებებისა და შეფასების საფუძველზე თითოეულ ბავშვს უყალიბდება განვითარების კონკრეტული მიზნები, რომლებიც შემდგომში აისახება როგორც ინდივიდუალურ, ასევე საერთო გეგმებში. მაგალითად, ბავშვის მზადყოფნის შემთხვევაში მას ენიშნება უფრო რთული სასწავლო მასალა, ხოლო სოციალური უნარების განვითარების საჭიროებისას პერსონალი გეგმავს მიზანმიმართულ კომუნიკაციურ თამაშებსა და მხარდაჭერას.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროცესი მაქსიმალურად იყოს მორგებული თითოეული ბავშვის უნიკალურ საჭიროებებსა და ინტერესებზე, ამავდროულად ინარჩუნებდეს პროცესის სისტემურ და ორგანიზებულ ხასიათს.

წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი სრულად ასახავს ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლების პრინციპებს, განსაზღვრავს ინდივიდუალური გეგმების შექმნისა და გამოყენების მექანიზმებს და აღწერს მათ ინტეგრაციას საერთო საგანმანათლებლო პროცესში.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
............................................................................................................................................................................................................................................
............................................................................................................................................................................................................................................

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა მკაფიოდ ორიენტირებულია ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე და მის აქტიურ ჩართულობაზე სწავლისა და განვითარების პროცესში. აღნიშნული პრინციპი უაღრესად გამოიხატება მონტესორის მეთოდის თავისუფალი არჩევანის იდეაში, STEM-ის კვლევით პრაქტიკებსა და რეჯიო-ემილიას თანამშრომლობით სწავლაში, სადაც ბავშვებს ეძლევათ საშუალება დამოუკიდებლად ჩაატარონ ექსპერიმენტები და მონაწილეობა მიიღონ თამაშზე დაფუძნებულ პროექტებში. ეს მიდგომა ხელს უწყობს მათ თვითგანვითარებისა და თვითგამოხატვის უნარების განვითარებას. საგანმანათლებლო პროცესში თამაშს ერგება წამყვანი სტრატეგიული როლი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ტრანზიციების ორგანიზებისას.

დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი, მათ შორის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი“ დეტალურად განსაზღვრავს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება გეგმავს ადაპტაციის პროცესის ინდივიდუალურად დაგეგმვას, რომელიც მოიცავს ბავშვის ემოციურ კომფორტს, უსაფრთხოებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას. ტრანზიციის ხელშესაწყობად დაწესებულება გეგმავს მრავალმხრივ აქტივობებს, მათ შორის მშობლებთან წინასწარ კომუნიკაციასა და კონსულტაციებს, სივრცის ეტაპობრივ გაცნობას, მხარდამჭერი რუტინების ჩამოყალიბებას, დღის პროგნოზირებადი განრიგის უზრუნველყოფას და პერსონალის რეგულარულ მხარდაჭერასა და ტრენინგებს.

აღნიშნული მიდგომები უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას და მისი სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას, რაც მნიშვნელოვნად ამსუბუქებს ტრანზიციის პროცესს და უწყობს ხელს სწავლების ეფექტურობას.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..............................................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................................

## 6.დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმის“, ასევე რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის საფუძველზე დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთოს მრავალფეროვან თამაშებზე დაფუძნებულ აქტივობებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად, როგორც შიდა, ასევე გარე სივრცეებში. საგანმანათლებლო გარემო ორგანიზებულია ისე, რომ ბავშვებს აქვთ თავისუფლება აირჩიონ მათთვის საინტერესო აქტივობები, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებლად გარემოს კვლევასა და საკუთარი ცოდნის სტრუქტურის შექმნას. აღნიშნული მიდგომა სრულად პასუხობს ბავშვზე ორიენტირებულმა სასწავლო პროცესის პრინციპებს და ემთხვევა მონტესორის თავისუფალი არჩევანის, STEM-ის კვლევითი პრაქტიკების და რეჯიო-ემილიას მეთოდების არსს, რაც ხელს უწყობს ბავშვების თვითგანვითარებისა და შემოქმედებითი თვითგამოხატვის უნარების განვითარებას.

ექსპერტთა მიერ განხორციელებული ვიზიტისას დადგინდა, რომ დაწესებულების შიდა სივრცეები მოწყობილია მონტესორის პრინციპების შესაბამისად: ოთახში გამოყენებულია ბავშვის ზომაზე მორგებული ავეჯი, დაბალი ღია თაროები, რომელთა სიმაღლე უზრუნველყოფს დამოუკიდებელ წვდომას საგნებზე, ხოლო სივრცე განაწილებულია თემატურ „ზონებად“, სადაც განათავსებულია შესაბამისი საგანმანათლებლო მასალები ლოგიკური თანმიმდევრობით, რაც ვიზუალურ და ზუსტი აღქმას უწყობს ხელს. ბავშვებისთვის განკუთვნილი სამუშაო არეები უზრუნველყოფს კომფორტულ და ორგანიზებულ გარემოს ინდივიდუალურ და მცირე ჯგუფურ აქტივობებისთვის. ასევე აღინიშნა, რომ გარემო ესთეტიკურად მოწესრიგებულია და ბავშვები აქტიურად არიან ჩართული მასალის დასაბრუნებლად მის შესაბამის ადგილას.

დაწესებულებას ახასიათებს უსაფრთხო და მრავალფეროვანი გარე სივრცე, რომელიც აღჭურვილია ასაკობრივად შესაბამისი სათამაშო მოწყობილობებით, მწვანე ზონით და გეგმაშია ეზოს სასწავლო-სამრავლებლო სივრცედ გადაკეთება, სადაც ბავშვები დაინტერესებულნი იქნებიან მცენარეების მოვლაში და ბუნების პროცესების გაცნობაში. აღნიშნული საქმიანობები ასრულებს საგანმანათლებლო და პასუხისმგებლობის ჩამომაყალიბებელ ფუნქციას, ბუნების შემეცნებაში.

ასევე აღინიშნა, რომ ამ ეტაპზე შიდა და გარე სივრცეები არ არის სრულად აღჭურვილი საჭირო ინვენტარითა და საგანმანათლებლო რესურსებით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია ინვენტარისა და სათამაშოების შესყიდვის პროცესზე, რაც მიუთითებს რესურსების სრულყოფის აქტიურ გეგმებზე.

დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა და მოწყობის კონცეფცია მთლიანად შეესაბამება მონტესორისა და თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს ბავშვის განვითარებისთვის ხელსაყრელ გარემოს. არსებული დოკუმენტაცია და ვიზუალური მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულება სისტემატურად ამდიდრებს საგანმანათლებლო რესურსებსა და ინფრასტრუქტურას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1.დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი", ადგენს, რომ შპს „მონტესორი უნივერსის" სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას აქვს მუდმივად განახლებადი რესურსების ნუსხა, რომელიც მოიცავს მონტესორის, STEM და რეჯიო-ემილიას პროგრამების შესაბამისი მასალებსა და ხელსაწყოებს. რესურსების გამოყენების ეფექტიანობის რეგულარულ მონიტორინგსა და საჭიროების შესაბამისად

კორექტირებას უზრუნველყოფენ როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ისე ადმინისტრაციული სტრუქტურები. ასევე გათვალისწინებულია რესურსების განახლებისა და შევსებისთვის ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტი, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის უწყვეტობას და მაღალი ხარისხის შენარჩუნებას.

ექსპერტთა შეფასებით, დოკუმენტში არ არის საკმარისად დეტალურად განსაზღვრული ინფორმაციის მიღებისა და მიწოდების მექანიზმები საჭირო რესურსების შესახებ, რაც ქმნის პროცესის გამჭვირვალობისა და ობიეტურობის რისკებს. ასევე არ არის ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ რესურსების სწრაფი და მოქნილი განახლებას და დაგეგმვის მიღმა არსებული დაუგეგმავი საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

1. რეკომენდირებულია მექანიზმით დეტალურად განისაზღვროს: როგორ და რა წყაროებიდან მიიღებს დაწესებულება ინფორმაციას საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შესახებ (მაგალითად, პერიოდული ანალიზი, პერსონალისა და ადმინისტრაციის უკუკავშირი, მშობელთა შემოთავაზებები და სხვ.).როგორ მოხდება აღნიშნული რესურსების მიწოდება და განახლება, მათ შორის – ბიუჯეტში თავისუფალი სახსრების გათვალისწინება დაუგეგმავი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; დამატებითი ალტერნატიული გზების განსაზღვრა რესურსების მოსაძიებლად (მაგალითად, დონაცია, საგანმანათლებლო მასალების დამზადება ადგილზე, პარტნიორი ორგანიზაციებიდან დახმარების მიღება და სხვა).

## რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026).

განსაზღვრული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება".**

## 2.დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დასტურდება, რომ შპს „მონტესორი უნივერსის" სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებას გააჩნია მონტესორის მასალების სრული სპექტრი, რაც სრულად პასუხობს 2-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარების სპეციფიკურ მოთხოვნებს. აღნიშნული მასალები დამზადებულია მაღალი ხარისხის ბუნებრივი და გამძლე მასალებისგან, როგორიცაა ხე და ლითონი, რაც უზრუნველყოფს როგორც მათ ხანგრძლივ გამოყენებას, ასევე ესთეტიკურ აღქმას. მაგალითად, მათემატიკის ზონაში არის წითელ-ლურჯი ჯოხები, მარგალიტების სკალა და ასოების ტრაქტატები; ენის განვითარების კუთხეში – მოძრავი ანბანი და სიტყვათა სამკერდე ბარათები; სენსორულ ზონაში კი გეომეტრიული სხეულები და სურნელების ბოთლები. თითოეული მათგანი მიზნად ისახავს სპეციფიკური სენსორული თუ კოგნიტური უნარის განვითარებას, რაც ჯგუფში მათი სრულყოფილი ხელმისაწვდომობა და კომპლექტურობა აუცილებელია.

საგანმანათლებლო რესურსები არ შემოიფარგლება მხოლოდ მონტესორის მასალებით. ჯგუფში შექმნილია პატარა ბიბლიოთეკის კუთხე, სადაც განთავსებულია ასაკისთვის ადაპტირებული წიგნები – ზღაპრები, ილუსტრირებული ენციკლოპედიები და ლექსების კრებულები, რაც ხელს უწყობს ბავშვთა დამოუკიდებელ წაკითხვასა და კითხვის კულტურის განვითარებას. ხელოვნებისა და ხელსაქმის მასალებიც კარგად არის უზრუნველყოფილი და განთავსებულია სპეციალურ კუთხეში: ფერადი ფანქრები, მარკერები, საღებავები, თიხა და სხვა ხელსაწყოები თავისუფალი შემოქმედებითი ექსპრესიისათვის. მუსიკალური ინსტრუმენტები, როგორიცაა დოლის ნაკრები, ქსილოფონი და ჩაიმები, აგრეთვე სათამაშოები, მათ შორის სამაგიდო და როლური თამაშის ნივთები, სრულად ხელმისაწვდომია ბავშვებისათვის. მაგალითად, თითოეულ ჯგუფში მოწყობილია ბავშვის ზომის სამზარეულოს კუთხე შესაბამისი აღჭურვილობით, რაც ხელს უწყობს სოციალიზაციასა და ფანტაზიის განვითარებას.

შეინიშნება, რომ მოცემულ ეტაპზე ყველა ჯგუფი არ არის სრულად აღჭურვილი ზემოთ აღნიშნული რესურსებით, რაც განპირობებულია ჯგუფების დასუფთავებისა და მოწყობის პროცესებით. თუმცა, როგორც ადასტურებს დაწესებულების წარმომადგენლის ინფორმაცია, ჯგუფების მოწყობისათვის საჭირო რესურსები და სათამაშოები სრულად არის არსებულ ადმინისტრაციულ სათავსებში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რესურსები აკმაყოფილებს შესაბამის ინდიკატორთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ხარისხიან, მრავალფეროვან საგანმანათლებლო გარემოს, რაც მნიშვნელოვანი საფუძველია მოსწავლეთა განვითარების სრული პოტენციალის რეალიზაციისათვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 3.ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებიდან დადგინდა, რომ დაწესებულების ჯგუფის ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმს. დაწესებულების ჯგუფის ფიზიკური გარემო მოწყობილია მონტესორის შიდა გარემოს კონცეფციის მიხედვით. ოთახში ყველა ავეჯი და საგანი ადაპტირებულია ბავშვებისათვის: მცირე ზომის მაგიდები და სკამები, დაბალი ღია თაროები, რომელთა სიმაღლე ბავშვს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად დაინახოს და გადმოიღოს მასალა. გარემო დაყოფილია თემატურ „ზონებად“ ან კუთხეებად – პრაქტიკული ცხოვრების კუთხე, სენსორული მასალების კუთხე, მათემატიკის, ენის, კულტურის

(მეცნიერება/ხელოვნება) კუთხეები. თითოეულ ზონაში განთავსებულია შესაბამისი მონტესორული მასალები დალაგებული ლოგიკურ თანმიმდევრობით სირთულის ზრდის მიხედვით. მაგალითისთვის, სენსორულ თაროზე დაწყობილია ზომათა კუბები (ვარდისფერი კოშკი) ყველაზე დიდი დანახული კუბიდან ყველაზე მცირემდე, ხოლო მათ გვერდით – ფერების დაფები, თანმიმდევრულად შეფერადებული წყვილებით და ა.შ. ასეთი სრუკტურა დამონტესორი გარემოში უზრუნველყოფს, რომ ბავშვმა ხედვითაც კი განიცადოს აღსაქმელი ცნებების მოწესრიგება.

დაწესებულებას აქვს დაცული ეზო მწვანე სივრცითა და სათამაშო მოედნით. გარე სივრცეში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სათამაშო სტრუქტურები: სასრიალო, აიწონა–დაიწონა, ქვიშის კოლოფი, ბურთებით სათამაშო ფართობი, ლაბირინთი, საჩრდილებელი, პატარა ხის სახლი დრამატული თამაშებისთვის. დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ იგეგმება ეზოში პატარა ბაღის, ბოსტნისა და ყვავილების კლუმბების გაშენება რომლის მოვლაშიც ჩაერთვებიან თავად ბავშვები – მორწყავენ მცენარეებს, დააკვირდებიან როგორ იზრდება ბოსტნეული თუ ყვავილი, ზოგჯერ საგანმანათლებლო პერსონალის დახმარებით შეასრულებენ მცირე სამუშაოს (მიწის ფხვიერება, ფოთლების მოგროვება). ეს გამოცდილება დაახლოვებს ბავშვების კავშირს ბუნებასთან და განუვითარებს მათ პასუხისმგებლობის გრძნობას, აღნიშნულ აქტივობებს კი ექნება მხოლოდ თამაშის სახე.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები ამ ეტაპზე არ არის სრულად აღჭურვილი და მოწყობილი შესაბამისი ინვენტარითა და რესურსით, თუმცა ზემოაღწერილი ეხება მოწყობილი ჯგუფის სივრცის აღწერას, რომლის ანალოგიც იქნება დაწესებულებაში არსებული რვავე ჯგუფის ოთახი, ამის მტკიცებულებად კი დაწესებულებამ წარმოადგინა დანაკლისი ინვენტარის, საგანმანათლებლო რესურსისა და სათამაშოების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

## 4.დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ჯგუფის ოთახებსა და გარე სივრცეში განლაგებული ავეჯი და ეზოს სათამაშო ინვენტარი კურიკულუმის შესაბამისია, ავეჯი ბავშვის ზომისაა. ამჟამად ჯგუფის ოთახების მოწყობა არ არის დასრულებული, თუმცა ავეჯი და მისი ზომები იძლევა საშუალებას, რესურსი განლაგდეს ბავშვისთვის ხელმისაწვდომ ადგილას და იყოს მისთვის ხელმისაწვდომი. თითოეული ჯგუფის ოთახი მოწყობილი იქნება იდენტურად ერთი და იგივე სახის ავეჯითა და რესურსით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

### 5.ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ჯგუფური ოთახები მოწყობილია ისე, რომ თითოეულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს როგორც აქტიურ, ასევე პასიურ აქტივობებში — მცირე ან დიდ ჯგუფში მუშაობაში, ინდივიდუალურ ან თანამშრომლობით საქმიანობაში. გარემო ასევე ითვალისწინებს სივრცეებს დასვენებისა და განმარტოებისთვის, რაც ემსახურება ბავშვის ემოციური კეთილდღეობისა და თვითრეგულაციის უნარების განვითარებას. ეს მიდგომა სრულად ეხმიანება როგორც მონტესორის საგულდაგულოდ სტრუქტურირებული გარემოს პრინციპს, ასევე რეჯიო-ემილიას კონცეფციას გარემოს, როგორც „მესამე მასწავლებლის“ შესახებ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1.საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები განსაზღვრულია შპს "მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმით". დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროცესის შეფასება განხორციელდება ყოველდღიური დაკვირვებების, პერიოდული ფორმალური და არაფორმალური შეფასებების მეშვეობით. მონტესორის მეთოდის პრინციპების შესაბამისად, შეფასების მთავარი მეთოდი იქნება ბავშვის საქმიანობის უშუალო დაკვირვება. ასევე, STEM და რეჯიო-ემილიას პროექტებზე მუშაობისას, შეფასების პროცესი მოიცავს ბავშვების თვითრეფლექსიას, საგანმანათლებლო პერსონალის შეფასებასა და პროცესის ერთობლივ ანალიზს. შეფასება რეგულარულად და სისტემატურად დაფიქსირდება ბავშვის ინდივიდუალურ პორტფოლიოში, რათა შესაძლებელი იყოს ინდივიდუალური პროგრესის დინამიკის დეტალური გაანალიზება.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დაწესებულებაში ამოქმედდება ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა, რომელიც დაეფუძნება როგორც სტრუქტურირებულ, ასევე არასტრუქტურირებულ მეთოდებს. საგანამანათლებლო პერსონალი აწარმოებს დაკვირვების ჩანაწერებს, საჭიროების შემთხვევაში გადაიღებს ვიზუალურ მასალას (ფოტო, ვიდეო) ჩაინიშნავს ბავშვის შესაძლებლობებს, მიღწევებს, გამოწვევებსა და

საჭიროებებს, რაც შემდგომ გამოიყენება ინდივიდუალური პროგრესის ანალიზისა და დაგეგმვის მიზნებისთვის. აღნიშნული პრაქტიკა დაეხმარება როგორც მშობლებს, ისე პერსონალს, უკეთ გაიგონ ბავშვის საჭიროებები და გააძლიერონ მისი ინდივიდუალური პოტენციალი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.................................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................................

## 2.შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული კურიკულუმის ჩარჩო მოიცავს ბავშვის შეფასებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას. დოკუმენტის თანახმად შეფასება განიხილება, როგორც სასწავლო პროცესის უწყვეტი და განუყოფელი ნაწილი. მთავარი აქცენტი გაკეთდება ფორმატიულ შეფასებაზე – ყოველდღიურ დაკვირვებასა და პროგრესის დაფიქსირებაზე, ვიდრე ფორმალურ ტესტირებაზე. საგანმანათლებლო პერსონალი სისტემატურად დააკვირდება თითოეულ ბავშვს სხვადასხვა კონტექსტში: ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებისას, ჯგუფურ აქტივობებში ჩართვისას, ასევე სოციალურ სიტუაციებში. ეს დაკვირვებები ჩაიწერება სპეციალურ ჟურნალებში ან ციფრულ პლატფორმაზე. Montessori Kids Universe გამოყენებს ბავშვის განვითარების ჩანაწერების მეთოდს, რომელიც გამოიხატება შემდეგში: თითოეული ბავშვისთვის იწარმოება ინდივიდუალური სასწავლო პროფილი, სადაც აღინიშნება მისი მიღწევები სხვადასხვა სფეროში (ენობრივი, მათემატიკური, სენსომოტორული, სოციალურ-ემოციური უნარები და სხვ.) და პროგრესის დინამიკა. აღნიშნული პროფილი შეიძლება მოიცავდეს განზოგადებულ შეფასების ფორმას, რომელიც თავსებადი იქნება საქართველოს სკოლამდელი აღზრდის პრაქტიკაში მიღებულ დოკუმენტებთან (მაგალითად, „სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების

შეფასების ფორმასთან“ თუ მსგავს სახელმძღვანელო ფორმასთან). ეს გააერთიანებს საერთაშორისო Montessori შეფასების მიდგომას ეროვნულ ჩარჩოსთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3.შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებს ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულება, კერძოდ შეფასების შედეგები დაწესებულებას არ აქვს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისი ჩანაწერი დაწესებულებას გაწერილი აქვს კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში, რომლის თანახმადაც დაწესებულების პერსონალი ყოველ კვირა/თვეში გაანალიზებს ბავშვის განვითარების შედეგს – რომელ მასალებს დაეუფლა, რა ახალი უნარები გამოამჟღავნა, რომელ სფეროებში სჭირდება მეტი სტიმული. შეფასების პროცესში საგანმანათლებლო პერსონალი არ გამოიყენებს ქულებს ან ბავშვების ერთმანეთთან შედარებას. თითოეული ბავშვი ინდივიდუალურად, შეადარდება საკუთარ წინა ეტაპს – ანუ პროგრესს ამ ანალიზის საფუძველზე, საჭიროებისამებრ, დააკორექტირებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს (მაგალითად, თუ ბავშვმა მოსალოდნელზე ადრე აითვისა მათემატიკური უნარები, პერსონალი შესთავაზებს უფრო რთულ აქტივობებს; ან თუ მეტყველების განვითარება შეფერხებულია, დამატებით იმუშავებენ ლექსიკურ თამაშებზე) და აღნიშნულ შეფასებას გამოიყენებს საგანმანათლებლო პროცესის უკეთ დაგეგმვისთვის. მიღებულ ინფორმაციას, საგანმანათლებლო პერსონალი, ასევე რეგულარულად გაუზიარებს მშობლებს. დაწესებულებაში დაინერგება მშობელთა კონსულტაციის სისტემა. თითოეული სემესტრის ბოლოს გაიმართება ინდივიდუალური შეხვედრა მშობელთან, სადაც განიხილება ბავშვის პორტფოლიო და პროფილი. მშობელთან ერთად პერსონალი გაანალიზებს ამ პორტფოლიოს, გამოარჩევს ბავშვის ძლიერ მხარეებს და იმ უნარებს, რომელთა განმტკიცებაც კიდევაა საჭირო.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

4.ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის 2025 წლის 24 მარტის #14 ბრძანებით დამტკიცებული დაწესებულების „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის" თანახმად დაწესებულება ბავშვის შეფასების პროცესში გაითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას. საგანმანათლებლო პერსონალი რეგულარულად გაუზიარებენ მშობლებს დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას ბავშვის პროგრესის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-აღზრდის პროცესის ერთიანობასა და თანმიმდევრულობას. მშობლები მონაწილეობას მიიღებენ შეფასების პერიოდულ განხილვებში, მათ ექნებათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია ბავშვის განვითარების სრულფასოვანი მხარდაჭერისთვის.

დაწესებულების აღმზრდელი რეგულარულად შეხვდება მშობელს და განიხილავს ბავშვის მიღწევებს, სირთულეებს და განვითარებას.

შეხვედრები იქნება კვირეული ან თვიური, რაც დამოკიდებული იქნება ბავშვის პროგრესსა და მშობლის მოთხოვნებზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სავალდებულო დანართი N4 - დამტკიცებული კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩო
2. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #12 - სავალდებულო დანართი N4 - კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცებაზე და ბრძანება #21 - ცვლილება ბრძანების #12 - სავალდებულო დანართი N4 - კურიკულუმი/კურიკულუმის ჩარჩოს დამტკიცებაზე
3. სავალდებულო დანართი N5 - დამტკიცებული კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი
4. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #13 - სავალდებულო დანართი N5 - კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტის დამტკიცებაზე
5. სავალდებულო დანართი N6 - დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმი, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი
6. 2025 წლის 24 მარტის ბრძანება #14 - სავალდებულო დანართი N6 - საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და შეფასების მექანიზმის, მათ შორის საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმის დამტკიცებაზე

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

### 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1.დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის # 13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტით“ განსაზღვრულია კურიკულუმის შეფასებისა და განახლების პროცესი. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის ეფექტურობა რეგულარულად შეფასდება ბავშვის უნარებისა და პროგრესის მუდმივი დაკვირვებით. შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან საგამანათლებლო პერსონალი და მშობლები, რომლებიც პერიოდულად მიაწვდიან დეტალურ უკუკავშირს. მიღებული მონაცემები გამოყენებული იქნება პროგრამის ყოველწლიური თვითშეფასებისთვის, რაც საფუძვლად დაედება კურიკულუმის განახლებასა და გაუმჯობესებას. გარდა ამისა, კურიკულუმის დაგეგმვისა და განხორციელების შეფასებისა და განახლების პროცესი განხორციელდება Montessori Kids Universe-ს DaVinci Kidsის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ და იმ ტექნიკური სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელიც მოწვეულ იქნა კურიკულუმის კონტექსტუალიზაციის და ავტორიზაციისთვის საჭირო სავალდებულო დოკუმეტნაციის შექმნის მიზნით, შეთანხმებული პერიოდულობით.

დაწესებულებას ინიდკატორის მოთხოვნასთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველმყოფი გეგმა, რომელშიც 2.3.1. კომპონენტია იდენტიფიცირებული, ხოლო შეუსაბამობის აღწერაში დასახელბულია „კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის დანერგვა ინგლისურენოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განხორციელების პროცესში“ განხორციელების ვადად მითითებული 12 თვე, თუმცა შესრულების ვადად 2027 წელია მითითებული. ხოლო მონიშნულია მეტწილი შესაბამისობა. იმის გათვალისწინებით რომ მხოლოდ 12 თვის ვადაში შეუსაბამობის აღმოფხვრის შემთხვევაში შეუძლია დაწესებულებას მეტწლის მონიშვნა, წარმოდგენილი გეგმა არ იქნა ექსპერტების მიერ რელევანტურად მიჩნეული.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში იდენტიფიცირებული აქტივობისათვის: „კურიკულუმის შეფასების პრაქტიკის დანერგვა ინგლისურენოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განხორციელების პროცესში“ განსაზღვროს რელევანტური ვადები და უზრუნველყოს მისი იმპლემენტაცია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 2.დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ჯერ არ ფუნქციონირებს შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორის შეფასება სტანდარტთან მიმართებაში, მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვერ ხერხდება, თუმცა დაწესებულებას შესაბამისი დოკუმენტით უნდა ქონდეს მოსალოდნელი პროცესი გაწერილი და გაანალიზებული. ამ შემთხვევაში აღნიშნული პროცესი აღწერილი უნდა იყოს შპს მონტესორი უნივერსის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ „ კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტით „ წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად დაწესებულება გეგმავს კურიკულუმის ეფექტურობა დაადგინოს ბავშვის უნარებისა და პროგრესზე დაკვირვებით, შეფასების პროცესში აქტიურად ჩაერთვებიან მშობლები, მიღებული უკუკავშირი და მონაცემები იქნება კურიკულუმის განახლებისა და გაუმჯობესების საფუძველი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

....................................................................................................................................................................................................................................................

....................................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 24 მარტის # 13 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის შემუშავების/შერჩევის მარეგულირებელი დოკუმენტი“

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 2.3.კურიკულუმის შეფასება და განვითარება | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

### 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი დოკუმენტის - „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“, რომელიც დამტკიცებულია შპს „მონტესორი უნივერსის“ დირექტორის 2025 წლის 15 მარტის №3 ბრძანებით, ანალიზმა აჩვენა, რომ დაწესებულებას გააჩნია დეტალურად გაწერილი და სისტემური მიდგომა ოჯახთან და თემთან კომუნიკაციის ორგანიზების მიმართულებით.

დოკუმენტი ნათლად უსვამს ხაზს მშობლების ინფორმირებულობისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში და განსაზღვრავს კომუნიკაციის ძირითად მიზნებს:

- მშობლებისადათემისრეგულარულიინფორმირებაბაღისყოველდღიურისაქმიანობის, ღონისძიებებისადაპროგრამებისშესახებ;
- მშობელთაჩართულობისგაზრდადააქტიურიუკუკავშირისუზრუნველყოფა;
- ბავშვისგანვითარებისსაკითხებზეოჯახისპარტნიორადჩართვა;
- პრობლემებისადრეულიიდენტიფიკაციადაერთობლივიგადაჭრისგზებისმოძიება.

დოკუმენტში წარმოდგენილია საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალი, შიდა და გარე კომუნიკაციის სქემა და ცხრილის სახით შედგენილი საკომუნიკაციო გეგმა, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის პერიოდულობას, კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და მიზნებს. აღნიშნული გეგმა დეტალიზებულია თვეების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს პროცესის პროგნოზირებადობასა და სისტემურობას. მაგალითად, ადმინისტრაცია ყოველთვიურად გეგმავს მშობლებთან საერთო შეხვედრებს, რაც ხელს უწყობს ინფორმირებულობის ამაღლებასა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებას. ამასთან საგულისხმოა რომ დოკუმენტი დამტკიცების რეკვიზიტების მითითების მიუხედავად სამუშაო ვერსიაა, რადგან მასში არის დაწესებულების წარმომადგენლის კომენტარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

## რეკომენდაცია

## რჩევა

მიზანშეწონილია დაწესებულებამ უზრუნველყოს დოკუმენტის - სავალდებულო დანართი N7 - ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმადასრულებული სახის მიცემა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა დირექტორის 2025 წლის 15 მარტის №3 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს მშობელთა ჩართულობის შეფასებისა და უკუკავშირის მიღების სისტემურ მიდგომას. დოკუმენტში წარმოდგენილი კომუნიკაციის მექანიზმი მრავალმხრივია და მოიცავს უკუკავშირის სხვა და სხვა ფორმებს, მათ შორის:

- კითხვარების გამოყენება (ბეჭდური და ონლაინ ვერსიით);
- მშობელთა კრებებზე კომენტარების შეგროვება;
- შენიშვნების/წინადადებების ყუთის გამოყენება;
- სოციალური მედიის მონიტორინგი;
- ანონიმური შეტყობინებების მიღება;
- მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრები;
- შეტყობინების მიწოდების სისწრაფის შემოწმება.

აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს როგორც მშობელთა მოსაზრებების სისტემურ შეგროვებას, ისე მათი ანალიზის საფუძველზე კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და სამომავლო გეგმების ადაპტირებას. მექანიზმი პრაქტიკულად უზრუნველყოფს უკუკავშირის უწყვეტობას, მრავალარხიანობას და ეფექტიანობას, რაც დადებითადა ისახება თემთან თანამშრომლობის ხარისხზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა დაწესებულების მიერ წამროდგენილი „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“ განსაზღვრავს იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალს რომლის მეშვეობითაც გეგმავს დაწესებულება მშობლებთან თანამშრომლობას. დოკუმენტის თანახმად მშობლებთან ურთიერთობისას მოიაზრება შემდეგი საკომუნიკაციო არხების გამოყენება: პირისპირ შეხვედრები – მშობელთა კრებები, ინდივიდუალური შეხვედრები საჭიროებისამებრ;

- დისტანციური შეხვედრები: ონლაინ პლატფორმების გამოყენებით;
- საინფორმაციო დაფები: ბაღის ტერიტორიაზე განთავსებული;
- ელექტრონული ფოსტა: დეტალური ინფორმაციის და სასწავლო მასალის გასაზიარებლად;
- ტელეფონისა და შეტყობინებების სისტემა: გადაუდებელი შეტყობინებებისა და შეხსენებებისათვის;

- სოციალური მედია და ვებ-გვერდი: მუდმივი განახლებისა და კომუნიკაციისთვის;
- მშობელთა და თემის ჩართულობის ღონისძიებები: ღია კარის დღეები, ვორქშოფები და ფორუმები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებული

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.................................................................................................................................................................................................................................

.................................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 მარტის # 3 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტის „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1.** თანამშრომლობის დაგეგმვა | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების წარმოდგენილი „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“ განსაზღვრავს იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალს რომლის მეშვეობითაც გეგმავს დაწესებულება მშობლებთან თანამშრომლობას. დოკუმენტის თანახმად დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ამ პროცესის ფარგლებში, მშობლებისთვის შემუშავებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც მოიცავს:

- ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის საკითხებს,
- ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების თავისებურებებს,
- მონტესორის მეთოდოლოგიის პრინციპებსა და განათლების როლს ბავშვის დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაში,
- ოჯახისა და საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლობის მნიშვნელობას ბავშვის ჰოლისტური განვითარებისათვის.

დოკუმენტის თანახმად, დაწესებულების პერსონალი მშობელთა ცნობიერების ამაღლებას განახორციელებს სისტემურად და მრავალფეროვანი ფორმატით, მათ შორის:

- საინფორმაციო შეხვედრები და ვორქშოფები;
- ელექტრონული და ბეჭდური რესურსების გავრცელება;
- ონლაინ ვებინარები და კონსულტაციები;
- სოციალური მედიისა და საინფორმაციო არხების გამოყენება;

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“ განსაზღვრავს მშობელთან ბავშვის შეფასების გაზიარების პროცესს, დოკუმენტის თანახმად ეს პროცესი მოიაზრებს პირად შეხვედრებსა და კონსულტაციებს მშობლებთან.

მონტესორის მეთოდით, მასწავლებელი რეგულარულად ხვდება მშობელს და განიხილავს ბავშვის მიღწევებს, სირთულეებს და განვითარებას. შეხვედრები შეიძლება იყოს კვირეული ან თვიური, რაც დამოკიდებულია ბავშვის პროგრესსა და მშობლის მოთხოვნებზე.

დაწესებულებას აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრული აქვს ბავშვის პროგრესის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს:
საგანმანათლებლო პერსონალის ჩანაწერებს, ბავშვის განვითარების შესახებ, მათ შორის კოგნიტიური, ემოციური, სოციალური და ფიზიკური უნარების განვითარებას და ყოველდღიურ აქტივობებზე დაკვირვების ჩანაწერებს.

საგანმანათლებლო პერსონალი მშობელს დაეხმარება გაგებაში, თუ როგორ უნდა გააგრძელოს ბავშვის მხარდაჭერა სახლში. საჭიროების მიხედვით, შინაარსის გაგების გაღრმავებისთვის ასევე შეიძლება შესტავაზოს პლანები ან სასწავლო აქტივობები, რომელიც მშობლის ჩართულობით უნდა განხორციელდეს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 მარტის #3 ბრძანებით დამტკიცებული **„ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“ განსაზღვრავს იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალს რომლის მეშვეობითაც გეგმავს დაწესებულება მშობლებთან თანამშრომლობას. დოკუმენტის თანახმად** დაწესებულება მიზანმიმართულად და აქტიურად გამოიყენებს თემში არსებულ რესურსებს, რათა უზრუნველყოს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების წარმატებული განხორციელება და ბავშვების ჰოლისტური განვითარება.

დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება გაითვალისწინებს თემის სპეციფიკურ შესაძლებლობებს და სოციალურ-კულტურულ რესურსებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვთა კრეატიულობას, ინტერესებს და ცოდნის გაღრმავებას. ამ რესურსების გამოყენება მოიცავს შემდეგს:

1. **მონაცემთა ბაზა და ადგილობრივი რესურსები:** დაწესებულება ახორციელებს თემის კულტურულ, ბუნებრივ და სოციალურ რესურსებთან ინტეგრაციას, მაგალითად, ადგილობრივი ხელოვნების ობიექტების, ბუნებრივი რესურსების და ისტორიული ადგილების გამოყენებით, რაც საშუალებას აძლევს ბავშვებს უკეთ გაიაზრონ თავიანთი გარემო.
2. **ადგილობრივი ექსპერტები და თემის წევრები:** აქტიურად მიიწვევენ თემის ადგილობრივ ექსპერტებს, რათა მათი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენოს სასწავლო პროცესში. ეს შეიძლება იყოს ხელოვნების მასწავლებლები, ფერმერები, მეცნიერები, ისტორიკოსები და სხვა სპეციალისტები, რომლებიც არამარტო ცოდნას, არამედ საკუთარი კულტურისადმი პატივისცემასაც გადასცემენ ბავშვებს.
3. **თემის საინფორმაციო რესურსები:** დაწესებულება იყენებს თემის საინფორმაციო წყაროებს, როგორიცაა ადგილობრივი გაზეთები, წიგნები, ჟურნალები, ან საკონკურსო ღონისძიებები, რათა გაძლიეროს ბავშვების ცოდნა და ინტერესები.

4. **ბუნებრივი რესურსები და გარე სივრცეები:** ბუნებრივი რესურსები, მაგალითად, თემის პარკები, ბაღები, მდინარეები ან ტყეები, გამოიყენება როგორც სასწავლო სივრცეები, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა დაეთანხმონ რეალურ სამყაროს და გაეცნონ ბუნებას.

ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს კურიკულუმის პრაქტიკულ განხორციელებას, რაც დაეხმარება ბავშვებს არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც შეიმუშაონ ცოდნა საკუთარ გარემოში.

**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

დაწესებულების „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“ განსაზღვრავს იმ საკომუნიკაციო არხების ჩამონათვალს რომლის მეშვეობითაც გეგმავს დაწესებულება მშობლებთან თანამშრომლობას. დოკუმენტის თანახმად დაწესებულების კომუნიკაციის მექანიზმი მოიცავს უკუკავშირის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის:

- კითხვარების გამოყენებას; (ბეჭდური და ონლაინ ვერსია)
- მშობელთა კრებებზე კომენტარების შეგროვებას;
- შენიშვნების/წინადადებების ყუთი;
- სოციალური მედიის მონიტორინგს;

- ანონიმური შეტყობინებები;
- მშობელთა ინდივიდუალურ შეხვედრებს;
- და რაც მთავარია - შეტყობინების მიწოდების სიჩქარის შემოწმება; მიღებული ინფორმაცია გამოიყენება კომუნიკაციის

გაუმჯობესებისა და სამომავლო გეგმების ადაპტირებისთვის/ცვლილებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...........................................................................................................................................................................................................................

...........................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 15 მარტის #3 ბრძანებით დამტკიცებული „ოჯახთან/თემთან კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი და საკომუნიკაციო გეგმა“

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[6]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

წარმოდგენილი პირადი საქმეებით საბავშვო ბაღში აღმზრდელ -პედგოგისა და აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებულია 12 პირი, მათ შორის 7-აღმზრდელის და 5 აღმზრდელპედაგოგის პოზიციაზე. ხოლო ინგლისურენოვანი სექტორისათვის პერსონალის მოზიდვის პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეა. ამ ნაწილში ექსპერტების მიერ გაზიარებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინგლისურენოვანი სექტორისათვის პერსონალის მოზიდვას 2025 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

ამასთან, წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლითა და ვიზტის შედგებზე დაფუძნებით დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც დამტკიცებულია სრულად არ ასახავს საბავშვო ბაღში არსებულ რეალურად არსებულ მართვის მოდელსა და პერსონალის განაწილებას. წარმოდგენილ ორგანოგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ დირექტორი, მუსიკის მასწავლებელი, სასწავლო კოორდინატორი, ტექნიკური მენეჯერი, ექიმი, დიასახლისი და აღმზრდელ-პედაგოგები/აღმზრდელები.

[6] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ვიზიტისას დადასტურდა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებს პოზიციები, რომლებიც წარმოდგენილ ორგანოგრამაში არ არის ასახული. მათ შორის არის საბავაშვო ბაღის გენერალური ხელმძღვანელი, რომელიც დირექტორის მიერ წარმოდგენილ იქნა, როგორც ბაღის მართვის პროცესის სრული კურატორი; ასევე ფინანსურ საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი. გასაუბრებისას გაირკვა, რომ აღნიშნული პირები დაწესებულებას ემსახურებიან, თუმცა მათი პოზიციები არ არის ფორმალურად განსაზღვრული სტრუქტურაში. ასევე არ არის გათვალისწინებული და პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერის პოზიცია.

ექსპერტთა შეფასებით, არსებული დისბალანსი ოფიციალურ დოკუმენტებსა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის აღმოფხვრილი უნდა იქნას დაწესებულების მიერ, რათა შემდგომში ხელი არ შეუშალოს ორგანიზაციული მოწყობის გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებას.

ინდიკატორის მოთოხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

1. რეკომენდებულია ორგანოგრამის გადახედვა და მისი შესაბამისობაში მოყვანა რეალურ პრაქტიკასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ორგანიზაციული მოწყობისა და პერსონალის კვალიფიკაციის სრული თავსებადობა დასახული მიზნების მისაღწევად, მდგრადი ფუნქციონირების და ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.
2. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ინგლისურენოვანი სექტორისათვის პერსონალის შერჩევა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში განსზღვრულ ვადებში.

## რჩევა

## არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის“ მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის

გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება“.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შეფასების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში სავალდებულო დოკუმენტაციის ნაწილში არ მოიპოვება სრული და ყოვლისმომცველი სამუშაო აღწერილობები თითოეული სტრუქტურული ერთეულის და პოზიციისთვის. მიუხედავად ამისა, ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა დასაქმების საიტზე გამოქვეყნებული განცხადებები, რომლებშიც მოცემულია პოზიციის დასახელება, ძირითადი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ იმ პოზიციებს, რომლებზეც გამოცხადებული იყო ვაკანსია და არ უზრუნველყოფს მთლიანად ბაღის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულფასოვან ასახვას.

ასევე აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს ერთიანი, ოფიციალურად დამტკიცებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ყველა არსებული პოზიციის ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და უფლებამოსილებებს. ასეთი დოკუმენტის არარსებობა ხელს შეუწყობს პასუხისმგებლობების მკაფიო გადანაწილებისა და ეფექტური მართვის პროცესს.
ინდიკატორის მოთოხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

რეკომენდებულია თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობის შემუშავება და დამტკიცება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფუნქციების სრული სიცხადე და შესაბამისობა ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობასა და ეფექტურობას.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის" მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება".**

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი აღმზრდელ-პედაგოგებისა და აღმზრდელების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საბავშვო ბაღში დასაქმებულია 12 პირი, მათ შორის 7- აღმზრდელის და 5 აღმზრდელ-პედაგოგის პოზიციაზე.

აღმზრდელ-პედაგოგები აკმაყოფილებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №478-ის „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ" მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საკვალიფიაკაციო მოთხოვნები აღმზრდელ-პედაგოგისა და აღმზრდელისათვის. მიუხედავად ამისა, მათი პირადი საქმეების გადამოწმების საფუძველზე დადასტურდა, რომ კადრები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, დოკუმენტის სახით, დაწესებულებას არ გააჩნია, რის გამოც ექსპერტთა ჯგუფს არ მიეცა შესაძლებლობა, შეეფასებინა მათი კვალიფიკაცია პირად საქმეებში არსებული დოკუმენტაციის შესაბამისობის საფუძველზე.
ინდიკატორის მოთოხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

### რეკომენდაცია

რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს ყველა პოზიციისთვის, მათ შორის ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე პერსონალისათვის, ოფიციალურად დამტკიცებული საქართველოს კანონმდებლობასთან თავსებადი და მათზე დაკისრებული ფუქნციების შესატყვისი საკვალიფიკაციო მოთოხვნების შემუშავება.

### რჩევა

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის" მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება".**

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში აღმზრდელ - პედგაგოგისა და აღმზრდელის პოზიციაზე დასაქმებულ 12 პირს პირად საქმეში არ უდასტურდება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

საბავშვო ბაღის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგემა, რომლის თანახმადაც შპს -ს "შენი უსაფრთხოება" 31 ივლისის ჩათვლით უნდა ჩაეტარებინა ტრენინგი რეკრუტირებული პედაგოგებისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ვიზიტისას არ დადასტურდა დასახელებული ტრენინგის გავლა უკვე არსებული პერსონალისათვის.. დაწესებულების ხელმძღვანელის განმართებით ტერნინგი დგეგმილია აგვისტოს თვეში, სასწავლო პროცესის დაწყებამდე.

ინდიკატორის მოთოხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

1.მიზანშეწონილია ტრენინგის ჩატარების შემდეგ მიღებული სერტიფიკატების ან დამადასტურებელი დოკუმენტაციის შენახვა პერსონალის პირად საქმეებში.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის" მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია საგანმანათლებლო პერსონალის მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესახებ გავლილი ტრენინგის დამადასტურებელი მასალები. ექსპერტთა მიერ გაზიარებულია წარმოდგენილი მტკიცებულებები, შესაბამისად რეკომენდაცია მოხსნილია. ხოლო შეფასება შეცვლილია, როგორც ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4.1.2.დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1.დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად ღ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს "მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 15 მარტის #4 ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო დანართი **N9 -** პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი და შპს "მონტესორი უნივერსის" დირექტორის 2025 წლის 17 მარტის #5 ბრძანებით დამტკიცებული სავალდებულო დანართი N10 - დამტკიცებული შინაგანაწესი.

რომლებიც პერსონალის შერჩევის, პროფესიული განვითარების, შეფასების, მოტივაციის, შრომითი პირობების და გუნდური მუშაობის ზოგად პრინციპებს ასახავს. მარეგულირებელი დოკუმენტი კონცეპტუალური შინაარსისაა და არ მოიცავს დეტალურ, პრაქტიკაში გამოყენებად პროცედურებს, ხოლო შინაგანაწესში გაწერილი წესები უფრო კონკრეტულია. თუმცა, დაფიქსირდა რიგი ხარვეზები:

- ორი დოკუმენტის შინაარსში არსებული წინააღმდეგობები, პერსონალის შერჩევის პრინციპებთან დაკავშირებით (მაგ: პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის თანახმად პერსონალის შერჩევა ხდება ღია და გამჭვირვალე პრინციპებით. ვაკანსიის გამოცხადება საჯაროა, რათა მასში მონაწილეობა მიიღოს მრავალმა დაინტერესებულმა კანდიდატმა, ხოლო შინაგანაწესის თანახმად ვაკანტურ პოზიციაზე თანამშრომლი მიიღება ღია კონკურსის საფუძველზე ან კონკურსგარეშე.)

- შინაგანაწესის ზოგიერთ ჩანაწერში საქართველოს შრომის კანონმდებლობასთან შეუსაბამობები (სამუშაო საათების რაოდენობა, ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირების არარსებობა, ანაზღაურების გარეშე შვებულების მოცულობა, კერძოდ: 41 საათიანი სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - შორმის კოდექსის თანახმად სამუშაო კვირა 40 საათია. შინაგანაწესის პუნქტის 13.4. თანახმად იმ შემთხვევაში თუ ბავშვს არ აკითხავს გამომყვანი, ან აგვიანდება, დასაქმებული ვალდებულია დაელოდოს ბავშვის წაყვანას - ამ შემთხვევაში ეს დრო ჩაითვლება თუ არა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ არა რის განასაზღვრული, ამავდროულად ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებისა და ანაზღაურების საკითხებს არ მოიცავს შინაგანაწესი. პუნქტის 15.2 თანახმად თანამშრომელს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში 24 სამუშაო დღით, აგრეთვე ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში 2 კალენდარული დღით - შრომის კოდექსის 31- ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით - წელიწადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. იმავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახამდ შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს 31-ე მუხლით გათვალისწინებულისგან განსხვავებული ვადები და პირობები. თუმცა ეს ვადები და პირობები არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას).

დასახელებული ხარვეზები საჭიროებს დოკუმენტების შიდა შესაბამისობის უზრუნველყოფას და შრომის კოდექსთან სრული თავსებადობის მიღწევას, რათა პერსონალის მართვის პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლებრივად გამართული და ეფექტური.

ინდიკატორის მოთოხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

## რეკომენდაცია

რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს მარეგულირებელი დოკუმენტის და შინაგანაწესის შინაარსობრივი და სამართლებრივი გადამუშავება, აღმოფხვრას ურთიერთწინააღმდეგობები, უზრუნველყოს დეტალური პროცედურების აღწერა და შრომის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, რაც გაზრდის პერსონალის მართვის პროცესის სამართლებრივ სიზუსტესა და ორგანიზაციულ ეფექტიანობას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის შესაბამისად შპს „მონტესორი უნივერსის" მიერ გაზიარებულ იქნა დასკვნის პროექტში განსაზღვრული რეკომენდაცია, ხოლო ინდიკატორთან თავსებადობის მიზნით წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. გეგმის მიხედვით დაწესებულებას ინდიკატორთან თავსებადობის უზრუნველყოფა დადგეგმილი აქვს 12 თვეში (19.09.2025 – 19.09.2026). განასაზღვღული აქვს შესაბამისი აქტივობა და რესურსები. დასახელებული გეგმის შინაარსი ექსპერტთა მიერ გაზიარებულია. შესაბამისად ექსპერტთა შეფასება იცვლება. კერძოდ ინდიკატორი **მეტწილად დაკმაყოფილებულია** და შეფასებად განისაზღვრა „ **მეტწილად შეესაბამება".**

## 2.აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულია როგორც აღმზრდელ-პედაგოგებთან, ისე აღმზრდელებთან, არ ასახავს საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განაწილებას. სამუშაო დროდ განსაზღვრულია 09:15-18:30, თუმცა დოკუმენტებში არ არის განსაზღვრული დასვენების დრო.

ხელშეკრულებებში განსაზღვრული ფუნქციები ორივე პოზიციისათვის თითქმის იდენტურია, რაც არ ასახავს აღმზრდელ-პედაგოგის როლის სპეციფიკურ დანიშნულებას. მიუხედავად ამისა, გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლებმა მკაფიოდ წარმოაჩინეს, რომ აღმზრდელპედაგოგის ფუნქცია მოიცავს არა მხოლოდ უშუალო მუშაობას ბავშვებთან, არამედ საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერას და დამატებით აქტივობებში მონაწილეობას.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული განსხვავებები შესაბამის დოკუმენტებშიც აისახოს, რაც უზრუნველყოფს ფუნქციების მკაფიოობას, პასუხისმგებლობების გამიჯვნას და პროცესების გამჭვირვალობას. ფუნქციების განსაზღვრისას დაწესებულებას შეუძლია ისარგებლოს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის დადგენილება №478-ის „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დებულებებით, რათა უზრუნველყოფილ იქნას პოზიციების შინაარსობრივი შესაბამისობა და პროფესიული სტანდარტების დაცვა.
ინდიკატორის მოთოხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

რეკომენდებულია შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის გადამუშავება ისე, რომ:

